ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 14 დეკემბერი 2004 №290 (2311) ფასი 50 თეთრი


# შე-ვაუ!

## სკუდეტო, ბომბარდირობა, ქორწილი, შვილი და ოქროს ბურთი!



გუშინ „ფრანს ფუტბოლმა“ 52 ევროპული სპორტული გამოცემის გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა და გამოაცხადა: ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკოა.

„ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“, მოგეხსენებათ, უპრესტიჟულესი პრიზია ევროპაში, ნახსენებ 52 გამოცემას შორის კი, ტრადიციულად, „სარბიელიც“ იყო.

გუშინვე ანდრეი შევჩენკომ თქვა, რომ ეს წელი მისთვის უმშვენიერესი გამოდგა.

წლეულს შევჩენკომ მოიგო სკუდეტო და გახდა სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი, იმავ სერია A-ში მეასე გოლი გაიტანა, იქორწინა და პირველი შვილიც შეეძინა. გუშინ „ოქროს ბურთის“ მფლობელიც გახდა.

შევჩენკოს მომდევნოთა ოთხეული კი რიგობით ასეთია: დეკო, რონალდინიო, ანრი და ზაგორაკისი.

„სარბიელის“ ვერსია კი თითქმის სრულად დაემთხვა „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვის საბოლოო შედეგებს.


დეკო


რონალდინიო


ანრი


ზაგორაკისი

# დუუმვირატი დუუმგაუშვეს

## სულთათანა-მეგობრობაზე ვიტ ჯორჯია ფეხს ითრევს



ზურაბ ბერიძე



მერაბ კოჭლაშვილი და ვლადიმერ ხაჩიძე

**უეცარ აღმასვლას რომ დაღმასვლა მოსდევს, ეს ფეხბურთში ისე რა ჩახედულმა ჯაცმაც იცის. თუმც ეს ბობოლა კლუბ-ნაკრებებს უფრო ახასიათებთ, საქართველოში კი მსგავსი უფრო იშვიათია. იშვიათია თუ არა, „ვიტ ჯორჯიას" კი ასე მოუვიდა... ვიტელებს საქართველოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ ევროფიასკოს ჯერი დაუდგათ, ჩავარდნა ეროვნულ ჩემპიონატშიც გადაჰყვათ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ვეტერინარები საჩემპიონო ბრძოლაში ვერ ჩაებმებიან**

მწვრთნელებშიც წაჯექ-უკუჯექობა გამოვიდა: მერაბ კოჭლაშვილის ნაცვლად ვოვა ხაჩიძის გათავკაცებით და მერე ისევ უკუღმა დატრიალებით „ვიტ ჯორჯიამ" ხეირი ვერ ნახა. ჰოდა, ხაჩიძეც და კოჭლაშვილიც ვეტერინართა სამწვრთნელო შტაბიდან გაუშვეს. ეს ოფიციალურად დადასტურდა გუშინ გამართულ კლუბის დირექტორატის შეკრებაზე.

„ვიტ ჯორჯიას" გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემ ახალი მწვრთნელის ვინაობაზე ჯერ არაფერი გვითხრა: „რამდენიმე კანდიდატურაა, მაგრამ მათ გვარებს ჯერ არ დავასახელებ. ახლა ფეხბურთელები შვებულებაში არიან და 25 დეკემბერს შეიკრიბებიან. სატრანსფერო ამბებზე დღეს არაფერი გვილაპარაკია. იმას კი გეტყვით, რომ რამდენიმე ფეხბურთელი დაგვტოვებს, თუმც გუნდის სახე დიდად არ შეიცვლება."

ვიტელთა გენერალურ მდივანს თანამეგობრობის თასზე წასვლა-არწასვლაზეც დავეკითხეთ და მკაფიო პასუხი ვერც აქ მივიღეთ — „ვიტ ჯორჯიას" რუსეთის ფეხბურთის ფედერაციაში რამდენიმე შეკითხვა გაუგზავნია, პასუხს ხვალ-ზეგ ელიან და ამის შემდეგ გადაწყდება, ითამაშებს თუ არა კლუბი თანამეგობრობაზე. ეს შეკითხვები კი ხელოვნური საფარის მდგომარეობას, სასტუმროსა და სავარჯიშო პირობებს ეხება. თუმც ისიც გაირკვა, რომ ვეტერინართა უარის შემთხვევაში დსთ-ის თასზე მონაწილეობა ქართველებიდან მხოლოდ თბილისის „დინამოს" შეუძლია, მაგრამ უარს ამბობს...

ისევ მწვრთნელის საკითხს დავუბრუნდეთ. დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ „ვიტ ჯორჯიას" გათავკაცების ყველაზე დიდი შანსი ზურაბ ბერიძეს აქვს, რომელიც ერთხანს უკვე წვრთნიდა ამ გუნდს, ამჟამად კი ვიტელთა ფარმ-კლუბ საგარეჯოს „ვიტ ჯორჯიას" თავკაცობს. ბერიძის კომენტარიც თავშეკავებული იყო:

„მწვრთნელობის კანდიდატად მეც ვითვლები, თუმც ეს ამბავი რამდენიმე დღეში გადაწყდება. ბარემ თანამეგობრობის თასზეც გეტყვით — ჩემი აზრით, ამ ტურნირში თამაში არ გვილირს და ალბათ არც ვითამაშებთ. გარდა იმისა, რომ ხელოვნურ საფარზე ტრავმების დიდი ალბათობაა, მოსამზადებელი პროცესიც აგვერევა. თანამეგობრობის თასის გამო უცხოურ შეკრებას ხომ არ გავაცდენთ..."

**ილია ნანოგაშვილი**

შოტლანდიურ პრესაში ბევრი იწერება იმაზე, გააგრძელებს თუ არა კონტრაქტს შოთა არველაძე „რეინჯერსთან" — შეგახსენებთ, რომ არველაძეს მოქმედი კონტრაქტი კლუბთან ამ სეზონის ბოლოს ეწურება.

გლაზგოური გაზეთი „ივნინგ თაიმსი" არველაძეს მენეჯერ ივან ბენეშს ოკეანის გაღმა შეეხმიანა

# ბენეში ამერიკიდან ლაპარაკობს და ფანჯარაში იტრიალებს

ბენეშს ბევრიც არაფერი უთქვამს, კვლავაც იმაზე ილაპარაკა, რომ ჩემი კლიენტით „გალათასარაი" და „ფიორენტინა" არიან დაინტერესებულიო, თუმც ისიც დასძინა, ერთ კვირაში გლაზგოში ვიქნები და „რეინჯერსის" ხელმძღვანელობას დაველაპარაკებიო.

მოკლედ, ბენეში ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება და მალე გლაზგოში ჩაფრინდება, თუმც მას მხოლოდ არველაძისთვის არ მოუწევს საქმის გაჩარხვა — ბენეში ზურაბ ხიზანიშვილის აგენტიცაა, ვისაც „რეინჯერსი" კონტრაქტის გაგრძელებას სთავაზობს, რადგან ზურას ხელშეკრულებას მომდევნო სეზონის ბოლოს გაუდის ვადა და თუ კლუბი კონტრაქტს ვერ გაუგრძელებს, 2006 წლისთვის ხიზანიშვილი თავისუფალი აგენტი გახდება და „რეინჯერსიც" მისი სამომავლო ტრანსფერიდან ვერაფერს გამორჩება.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, „რეინჯერსი" 23 წლის ხიზანიშვილს მოქმედ კონტრაქტზე უკეთესს შესთავაზებს, არველაძის „რეინჯერსში" კიდევ ერთი წლით დარჩენა კი ძალიან საეჭვოა. ბენეშიც ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნას უცდის, რათა „რეინჯერსს" უფრო მყარად წარუდგინოს არგუმენტები — ფანჯარაში შოთას სხვა მსურველი კლუბების ინტერესი მკაფიოდ გამოჩნდება.

**დავით თავართქილაძე**

# ხიზანეიშვილი

## ოთარმა ფრაიბურგს ხელი მოუწერა

**ოთარ ხიზანეიშვილი** უკვე ფრაიბურგელია — მან გერმანულ კლუბთან კონტრაქტი გუშინ გააფორმა.

კონტრაქტზე ხელმოწერა ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე შედგა, მაგიდასთან „ფრაიბურგის" პრეზიდენტი, მენეჯერი, მწვრთნელი და თავად ფეხბურთელი ისხდნენ, იყო დაახლოებით ნახევარსაათიანი საბოლოო მოლაპარაკება და ხელშეკრულებაც ბეჭდით დადასტურდა.

„ფრაიბურგის" ახალი ტრანსფერის ამბავი გუშინვე არ გახმაურებულა, გერმანული პრესისთვის ხიზანეიშვილის შეძენა არცთუ ისე მნიშვნელოვანია. ოთარს ახალ კლუბში ჯერ საკუთარნომრიანი მაისურაც არ მიუღია, თუმც სადღა ეჩქარება, ბუნდესლიგაში ახლა შესვენებაა, შვებულებაშია „ფრაიბურგიც". ჰოდა, არც ოთარ ხიზანეიშვილი შეყოვნებულა ფრაიბურგში და გუშინვე მოსკოვში პირადი საქმეების მოსაგვარებლად დაბრუნდა, „ფრაიბურგში" ხომ სწორედ მოსკოვის „დინამოდან" წავიდა.

მოსკოვის გზად მყოფმა ოთარმა კი გუშინ მოკლედ ეს გვითხრა:

— ყველაფერი კარგადაა, კონტრაქტი ორი საათის წინ გავაფორმე.

შეგახსენებთ, ბუნდესლიგა 21 იანვარს იწყება. „ფრაიბურგი" კი უკვე სამი ქართველით ითამაშებს — ხიზანეიშვილი, იაშვილი, ცქიტიშვილი.

**კობა ინასარიძე**

# ადამია ალბათ უფრო

## წავა გიორგი ჯორჯიადან და ჯორჯიიდან?



**ეროვნული** ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გიორგი ადამია „ვიტ ჯორჯიადან" მიდის. ეს ამბავი საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ ბევრიც არაფერი უკლია. ადამიას ვეტერინარებთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს უმთავრდება, თუმც გუნდის დატოვებას ამ ზამთარშივე აპირებს.

— ჯერ არაფერი მომიფიქრებია, სეზონი ახლახან დამთავრდა და დრო კიდევ მაქვს. ნაახალწლევს გაირკვევა ბევრი რამ. ალბათ, უფრო წავალ „ვიტ ჯორჯიადან". რაღაც ვარიანტებს ველოდები და ვნახოთ, რა გამომივა — გვითხრა გუშინ გიორგიმ.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ადამიას სეზონის დაწყებამდეც სურდა „ვიტ ჯორჯიადან" წასვლა და, თუ გახსოვთ, რუსულ „კამაზშიც" იყო გასინჯვაზე, მაგრამ ამ საქმიდან მაშინ არაფერი გამოვიდა. კვლავაც არის თუ არა „კამაზის" ვარიანტი აქტუალური?

— გადაჭრით ვერ ვიტყვი. შესაძლოა, სულაც სხვა გუნდში აღმოვჩნდე — ასეთია გიორგის პასუხი.

**კახა შალამბერიძე**



# ლომაია პრემიერლიგას უბრუნდება?

**საქართველოს** ნაკრების მეკარეს გიორგი ლომაიას მსურველი გამოუჩნდა და თან არცთუ უსახელო. ლაპარაკია მოსკოვის „დინამოზე", რომელიც თანახმაა, ლომაიას სანაცვლოდ თავისი დუბლშემადგენლობიდან რამდენიმე პერსპექტიული ბიჭი გაუშვას „ხიმკიში".

საქმე ისაა, რომ ხიმკელთა პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო ახალი ფეხბურთელებით აძლიერებს გუნდს — ფაქტობრივად, ნაყიდი ჰყავს ექს-ცეესკელები გოგნიევი და ჰენრიხი, ასევე „როტორის" კაპიტანი ვალერი ესიპოვი და სპარტაკელი ოლეგ ივანოვი. მეკარის პოზიციაზე კი „ხიმკის" იმდენად არ უჭირს, ლომაიას გარდა კიდევ ორი გოლკიპერი ჰყავს და ჩვენიანსაც, ალბათ, იოლად შეელევა.

თავად გიორგი „ხიმკისთან" ერთად ანთალიურ შეკრებაზეა. ცხადია, „დინამოში" გადასვლაზე უარს არ იტყვება და დიდი შანსია, საგაისო სეზონი ოლეგ რომანცევის გუნდშიც დაიწყოს, თუმც ლომაიას იქაც ძლიერი კონკურენტი ეყოლება — ექს-სპარტაკელი უკრაინელი მაქსიმ ლევიცკი.

**ილია ნანოგაშვილი**

## მესამე წრე

**მეცხრამეტე ტური**
18 თებერვალი, პარასკევი
ტორპედო – ლოკომოტივი
კოლხეთი – ვიტ ჯორჯია
დილა – ბათუმი
ზესტაფონი – თბილისი
დინამო – სიონი

**მეოცე ტური**
25 თებერვალი, პარასკევი
თბილისი – კოლხეთი
ლოკომოტივი – ბათუმი
სიონი – დილა
ტორპედო – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – დინამო

**ოცდამეერთე ტური**
1 მარტი, სამშაბათი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ტორპედო
ბათუმი – სიონი
დინამო – თბილისი
დილა – ვიტ ჯორჯია

**ოცდამეორე ტური**
5 მარტი, შაბათი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ლოკომოტივი – სიონი
ზესტაფონი – კოლხეთი
ტორპედო – დინამო
თბილისი – დილა

**ოცდამესამე ტური**
12 მარტი, შაბათი
კოლხეთი – ლოკომოტივი
დილა – ტორპედო
დინამო – ზესტაფონი
ბათუმი – თბილისი
სიონი – ვიტ ჯორჯია

**ოცდამეოთხე ტური**
16 მარტი, ოთხშაბათი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – ბათუმი
ზესტაფონი – დილა
კოლხეთი – დინამო
თბილისი – სიონი

**ოცდამეხუთე ტური**
20 მარტი, კვირა
დილა – კოლხეთი
ბათუმი – ზესტაფონი
სიონი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – თბილისი
დინამო – ლოკომოტივი

**ოცდამეექვსე ტური**
2 აპრილი, შაბათი
ლოკომოტივი – თბილისი
კოლხეთი – ბათუმი
ზესტაფონი – სიონი
დინამო – დილა
ტორპედო – ვიტ ჯორჯია

**ოცდამეშვიდე ტური**
10 აპრილი, კვირა
სიონი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
დილა – ლოკომოტივი
ბათუმი – დინამო
თბილისი – ტორპედო

**თასის ნახევარფინალის დღეებია: 6 აპრილი და 4 მაისი; ფინალი: 26 მაისი**

# საქართველოს 16 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
## მეორე ეტაპი
## კალენდარი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# ხუთეულის გამამხნევებელი ვარჯიში

გამამხნევებელი ვარჯიში დაიწყო – წინმკლავი, განმკლავი, ზემკლავი, ბუქნი – მოკლედ, გუნდები სატრანსფეროდ ხურდებიან, ისმის გვარ-სახელები, თანხები...

ყველაზე მყიდველი გუნდი „დინამო" უნდა იყოს, რადგან ის ყველაზე მდიდარია, ყველაზე დიდი ამბიციები აქვს, მაგრამ მისი სკამი არცთუ შთამბეჭდავია — როცა „დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, კლუბის ხელმძღვანელობამ და გუნდის მწვრთნელმაც აღნიშნეს, ამდენს თუ მივაღწევდით, არ გვეგონა, თორემ გუნდის სელექციას სხვანაირად წარვმართავდითო.

ამბობენ, „დინამოს" ქუთაისის „ტორპედოდან" წამოსული მეკარე ზვიად სტურუა უნდაო, კიდევ „თბილისის" რამდენიმე ფეხბურთელიო. ისიცაა, რომ „ვიტ ჯორჯიას" კაპიტან ლაშა ნოზაძეს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ეს საყრდენი ნახევარმცველი „დინამოს" ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე სურდა.

კონტრაქტი დაუმთავრდა ტორპედოელ შოთა ბაბუნაშვილსაც და ისიც პოტენციურად „დინამოს" სატრანსფერო გეგმებში შედის, მაგრამ ქუთაისელები მას ადვილად რომ არ შეელევიან, ამას „ტორპედოს" მესვეურებიც ახმოვანებენ.

მაგრამ „დინამო" ოდენ ყიდვას არ უნდა ეშურებოდეს. სატრანსფეროდ ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი „დინამოში" და საერთოდ საქართველოში ახლა უდავოდ დავით კვირკველიაა. 24 წლის ნახევარმცველს ადრეც ჰქონდა შეთავაზებები უცხოეთიდან, მაგრამ „დინამო" ადებდა დიდ ფასს თუ, უბრალოდ, ადრეულ ეტაპზე მისი გუნდიდან გაშვება არ უნდოდა, საამისო ოფიციალური მტკიცებულებები არ არსებობს. თუ „დინამო" ახლა არ გაასხვისებს კვირკველიას, სეზონის დამთავრების შემდეგ ამ ფეხბურთელს კონტრაქტი დაუმთავრდება და თავისუფალი აგენტი გახდება. მოსალოდნელია „დინამოდან" ლადო ახალაიას წასვლაც, მის ურთიერთობას გია გეგუჩაძესთან შეხმატკბილებული ნაღდად არ ეთქმის.


დავით კვირკველიას ტრანსფერი „დინამოს" მადაზეც ჰკიდია

მოთამაშეთა მყიდველ კლუბად ჩანს „ლოკომოტივიც", თუმც სატრანსფერო ბაზარზე დიდი აქტიურობით ჯერ არ გამოირჩევა, სამაგიეროდ, გეოგრაფია გაიფართოვა და ახალგაზრდა ფეხბურთელებს ბრაზილიაშიც კი ეძებს — იქაურ დაბალ, სტუდენტურ ლიგებში. დღეს „ლოკომოტივში" კრება გაიმართება და ალბათ ახალი სატრანსფერო ვარიანტებიც გამოჩნდება.

სატრანსფერო მოთელვა დაწყებული აქვს „თბილისსაც" და ამ კლუბის თვალსაწიერიც არ უნდა იყოს პატარა. ისიცაა, რომ ლუის ცაკარიასი და გოჩა თამაზაშვილი ახლა გერმანიაში არიან და იქნებ რომელიმე თბილისელმა ფეხბურთელმა პირველი ან მეორე ბუნდესლიგების გუნდში ამოჰყოს თავი. ალბათ გახსოვთ, რომ სწორედ ცაკარიას-თამაზაშვილის შემწეობით მოხვდა ექსლოკომოტიველი დავით სირაძე მეორე ბუნდესლიგაში. „თბილისის" გეგმებში ისიც შედის, რომ ერთ-ერთი ფეხბურთელი სახელიან ევროპულ გუნდში გაუშვას სტაჟირებაზე.

წინმკლავს თუ ზემკლავს „ვიტ ჯორჯიაც" აკეთებს. გუნდს ნოზაძის გარდა ალბათ გიორგი ადამიაც დატოვებს და არც ის უნდა გაგვიკვირდეს, „ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელად კვლავ ზურაბ ბერიძე რომ დაინიშნოს.

ერთი სიტყვით, სატრანსფერო მოთელვაზე ხუთი ქართული გუნდი უკვე გავიდა, დანარჩენების გამოღვიძება ჯერ ნაკლებადაა მოსალოდნელი, რადგან მათ ყიდვა ჯერ არ შეუძლიათ და გასაყიდი ფეხბურთელებიც თითქმის არ ჰყავთ, თუმც კარგი სელექციონერის თვალი მათში რაღაც საინტერესოს ალბათ მაინც იპოვის.

**დავით თავართქილაძე**

## მეოთხე წრე

**ოცდამერვე ტური**
17 აპრილი, კვირა
ვიტ ჯორჯია – კოლხეთი
ბათუმი – დილა
თბილისი – ზესტაფონი
სიონი – დინამო
ლოკომოტივი – ტორპედო

**ოცდამეცხრე ტური**
21 აპრილი, ხუთშაბათი
კოლხეთი – თბილისი
ბათუმი – ლოკომოტივი
დილა – სიონი
ზესტაფონი – ტორპედო
დინამო – ვიტ ჯორჯია

**ოცდამეათე ტური**
26 აპრილი, სამშაბათი
ლოკომოტივი – ზესტაფონი
ტორპედო – კოლხეთი
სიონი – ბათუმი
თბილისი – დინამო
ვიტ ჯორჯია – დილა

**ოცდამეთერთმეტე ტური**
30 აპრილი, შაბათი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დილა – თბილისი
დინამო – ტორპედო
სიონი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ზესტაფონი

**ოცდამეთორმეტე ტური**
8 მაისი, კვირა
ლოკომოტივი – კოლხეთი
ტორპედო – დილა
ზესტაფონი – დინამო
თბილისი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – სიონი

**ოცდამეცამეტე ტური**
14 მაისი, კვირა
სიონი – თბილისი
ბათუმი – ტორპედო
დილა – ზესტაფონი
დინამო – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი

**ოცდამეთოთხმეტე ტური**
18 მაისი, ოთხშაბათი
კოლხეთი – დილა
ზესტაფონი – ბათუმი
ტორპედო – სიონი
თბილისი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – დინამო

**ოცდამეთხუთმეტე ტური**
22 მაისი, კვირა
თბილისი – ლოკომოტივი
ბათუმი – კოლხეთი
სიონი – ზესტაფონი
დილა – დინამო
ვიტ ჯორჯია – ტორპედო

**ოცდამეთექვსმეტე ტური**
30 მაისი, ოთხბაშათი
ტორპედო – თბილისი
ლოკომოტივი – დილა
დინამო – ბათუმი
კოლხეთი – სიონი
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია

**სარეზერვო დღეებია: 14, 21 თებერვალი, 8 მარტი, 13 აპრილი, 11 მაისი**

# ალადაშვილი ფიფამ არ შეიწყალა


**თბილისის** „დინამოს" ნახევარმცველი კახა ალადაშვილი ექვსი თვე რომ ვერ ითამაშებს, ეს უკვე გაუწყეთ.

გეხსომებათ, ალადაშვილი უკრაინა-საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩისას მსაჯის შეურაცხყოფისთვის უეფამ საერთაშორისო სარბიელზე ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მოგვიანებით კი ეს საქმე ფიფას გადასცა, რომელმაც თავის მხრივ ალადაშვილი საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობიდანაც მოკვეთა.

„დინამომ" კი ფიფას აპელაცია გაუგზავნა თხოვნით, ფეხბურთელს ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მაინც მიეცითო.

„დინამოს" აპელაცია ფიფამ გუშინ განიხილა და ალადაშვილს დისკვალიფიკაცია არ მოუხსნა, ის კი არა, ფიფამ აპელაცია უსაფუძვლოდაც ჩათვალა. კახა ალადაშვილი დღესდღეობით გუნდთან ერთად კი ვარჯიშობს, მაგრამ თამაშით ვერ ითამაშებს. მას კიდევ ხუთი თვე უქმად ყოფნა მოუწევს.

**ლუკა თალაკვაძე**

# ნუ იქნება ოღონდ თოვლი




„ზესტაფონი" — „დინამოს" სათასო მერვედფინალის საპასუხო მატჩი 14 თებერვალს გაიმართება. ასეთი გადაწყვეტილება პროფლიგამ მეტოქეთა თხოვნის გათვალისწინებით მიიღო.

ეს მატჩი გუშინწინ ზესტაფონში უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო თამაში შეუძლებელი იყო. მასპინძლები მოედნის მოწესრიგებას ყველანაირი ხერხით ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და მატჩიც გადაიდო. გუნდების ხელმძღვანელებმა მაშინვე თქვეს, კარგი იქნება, საპასუხო მატჩს პროფლიგა თებერვლისთვის თუ დანიშნავსო. როგორც ხედავთ, პროფლიგამ მეტოქეთა სურვილი გაითვალისწინა და შეხვედრა 14 თებერვლისთვის გადადო.

შეგახსენებთ, „დინამო" — „ზესტაფონის" პირველი მატჩი თბილისში მასპინძელთა 2:1 გამარჯვებით დამთავრდა. ამ წყვილში გამარჯვებულს მეოთხედფინალში „ბათუმი" ელის.

**ლუკა თალაკვაძე**

# ისწავლე შვეიცარიაში, ასწავლე საქართველოში

## „უბათუმო“ ბათუმი რა ბათუმია?!



იყო დრო, ლევან ხომერიკი საქართველოს ნაკრების კანდიდატად ითვლებოდა. იყო დრო, ლევან ხომერიკს ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ტოლი არ ჰყავდა და იმ „დინამოს“ თავდასხმის ლიდერიც იყო, რომელიც ექვსი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კარზე აკაკუნებდა. მერე ლევანმა, როგორც მისი თაობის ფეხბურთელთა უმეტესობამ, უცხოეთს მიაშურა. შვეიცარიის „აარაუში“ და „ვოლენში“ სამი სეზონი ითამაშა. ბოლოს მძიმე ტრავმა მიიღო, ერთი წელი იმკურნალა, ამასობაში მის შვეიცარიულ კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა და ისიც საქართველოში დაბრუნდა. დაუბრუნდა მშობლიურ „ბათუმს“ და აგერ, უკვე ნახევარი სეზონია, ისევ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს. 30 წლის ლევან ხომერიკი დღესდღეობით ძველებური შედეგიანობით ველარ გამოირჩევა, მაგრამ მისი გამოცდილება ახალგაზრდა პარტნიორებისთვის გამოსადეგი კი არის. თანაც, როგორც ლევანი თავად ამბობს, ნელ-ნელა სასურველ სპორტულ ფორმას იბრუნებს...

— თავიდან გამიჭირდა. საქართველოს ჩემპიონატში თამაში რომ გადავწყვიტე, ისევ ვმკურნალობდი და სათანადოდ მომზადებული არ ვიყავი — გვითხრა ლევან ხომერიკმა — ფაქტობრივად, ერთი წელი გამიცდა, ფორმას კი ერთი და ორი თამაშით ვერ დავიბრუნებდი. პირველი ეტაპის ბოლოსკენ კი ვგრძნობდი, რომ შესაძლებლობების 70-80 პროცენტით ვთამაშობდი. განახლდება ჩემპიონატი და უფრო უკეთ ავთამაშდები.

— ჩემპიონატი კი განახლდება, მაგრამ, ამბობენ, „ბათუმს“ ნახევარი გუნდი აღარ ეყოლებაო...

— ფინანსური პრობლემების მიუხედავად, მაინც მჯერა, რომ ყველაფერი გამოსწორდება და „ბათუმიც“ ისე ათამაშდება, როგორც სეზონის დასაწყისში. კლუბის ხელმძღვანელობის აჭარის მთავრობასთან გუშინწინდელი შეხვედრის შემდეგ გუნდი უკვე იმედიანადაა, პატრონობას, ხელშეწყობას ისეთი ხალხი დაგვპირდა, მათი სიტყვა და საქმე ერთი იქნება. არადა, მართლაც, ჩემპიონატი ისე დავიწყეთ, რამდენიმე ტურის შემდეგ მესამე ადგილზეც კი ვიყავით...

— დაპირებები ერთი და ორი არ გვახსოვს. შეჰპირებიან გუნდებს პატრონობას, მაგრამ მერე...

— მართალია, საქმეა მთავარი. როგორც გვითხრეს, ერთ კვირაში, ათ დღეში „ბათუმში“ ყველა თუ არა, პრობლემათა უმეტესობა მოგვარდება.

— ღმერთმა ქნას, მაგრამ, „ბათუმს“ თუ მაინც არაფერი ეშველა?

— აბა, რაღას ვიზამ, წავალ სადმე, ვნახავ საჩემო გუნდს და ვითამაშებ. ისე კი, ძალიან მსურს, საქმე აქამდე არ მივიდეს, მინდა, ისევ „ბათუმში“ ვითამაშო და მშობლიურ გუნდს გამოვადგე. იმედი მაინც მაქვს, რომ ყველაფერი გამოსწორდება.

— არ ფიქრობ, შვეიცარიიდან საქართველოში დაბრუნებით ნაბიჯი უკან რომ გადადგი?

— რა გაეწყობა, ესეც ცხოვრებაა. შესაძლოა, ასეც იყოს, კარიერას ვერაფერი შევმატე, მაგრამ ამის გამო გულდაწყვეტილი სულაც არ ვარ. შვეიცარიაში სამი წელი ვიყავი და მთავარი, ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინე. ამიტომაც არ ვფიქრობ, რომ აქ დაბრუნებით ბევრი დავკარგე.

— ნელ-ნელა ფეხბურთი შენთვის მეორეხარისხოვანი ხომ არ ხდება?

— არანაირად, ფეხბურთზე უკეთ არაფერი ვიცი და ვერ ვიტყვი, ფეხბურთი ჩემთვის მეორეხარისხოვანიაო. მიყვარს ეს საქმე და ალბათ მთელი ცხოვრებაც ფეხბურთში ვიქნები. თანაც, 30 წლის ვარ, ჩამოყალიბებული პროფესიონალი, გამოცდილება საკმაო მაქვს და სულაც არაა გასაკვირი, მომავალზე უკვე სერიოზულად რომ ვფიქრობ.

— კარიერის დამთავრებას ხომ არ აპირებ?

— არა, ჯერ კიდევ შემიძლია თამაში და როგორც გითხარი, ვგრძნობ, ნელ-ნელა ფორმას რომ ვიბრუნებ და მეორე ეტაპიდან უკეთ ვითამაშებ. თუნდაც იმიტომ ვითამაშებ, რომ ახალგაზრდა თანაგუნდელებს გამოცდილება გავუზიარო, ვასწავლო...

— ფაქტობრივად, მწვრთნელის თანაშემწე ხარ?

— ოღონდ, მოედანზე, თამაშისას. მსიამოვნებს, როცა ჭაბუკი პარტნიორი მისმენს, შენიშვნებს ითვალისწინებს. თავის დროზე მეც ასე ვიყავი, გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით გავიზარდე.

— კარიერის დამთავრების შემდეგ თავად ხომ არ აპირებ სამწვრთნელო საქმის დაწყებას?

— მწვრთნელობაზე სერიოზულად ვფიქრობ, დასაწყისისთვის ბავშვებთან მუშაობა მსურს, მერე კი ვნახოთ, ცხოვრება გვიჩვენებს.

— მწვრთნელობა შვეიცარიიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტე?

— დიახ, სამი წელი შვეიცარიაში ვთამაშობდი, ბევრი ვისწავლე, გამოცდილება მივიღე. იქაურ მწვრთნელთა საქმიანობა დაკონსპექტებულიც კი მაქვს და მსურს, ადრე თუ გვიან ჩემი ნაფიქრი მოედანზე გადავიტანო.

— შენთან ერთად შვეიცარიაში მიხეილ ყაველაშვილიც თამაშობდა და ისიც მწვრთნელობას აპირებს...

— ვიცი. შვეიცარიაში ფეხბურთი, საფეხბურთო ინფრასტრუქტურა იმ დონეზეა, რომ ფეხბურთში დარჩენის სურვილს გიათმაგებს, სტიმულს გმატებს. სწორედ შვეიცარიაში გატარებულმა წლებმა გადამაწყვეტინა სამწვრთნელო საქმის დაწყება.

**ძობა ინასარიძე**



# ნერგაძემ დარჩენა ჩაინერგა

## ტორპედოს საყრდენი სიტყვას დაეყრდნო

*ზვიად სტურუა, გია მეგრელაძე და შოთა ბაბუნაშვილი ქუთაისის „ტორპედოდან“ წასვლას ცდილობენ და წამსვლელებში გიორგი ნერგაძეც მოიხსენიებოდა. ლაპარაკი ლაპარაკად და, ნერგაძემ გუნდში დარჩენა გადაწყვიტა. ამ სეზონსაც აქ ჩავამთავრებ და მერე ვნახოთო, გვითხრა გუშინ „ტორპედოს“ საყრდენმა ნახევარმცველმა და ჭორებიც გააქარწყლა...*

— წასვლას აღარ ვაპირებ. ამ სეზონს „ტორპედოში“ გავატარებ, ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

— ვიცი, რომ წასვლას აპირებდი და რა შეიცვალა?

— თავისუფალი აგენტი არ ვარ და ჩემში კომპენსაცია იქნებოდა გადასახდელი. ამის გამო შევიკავე თავი, გაისად კი 23 წლის ვხდები და უეფას კანონებით კონტრაქტის დამთავრების მერე თავისუფალი ვიქნები.

— ესე იგი, დარჩენა გადაწყვეტილი ამბავია...

— კი. „ტორპედოში“ ვრჩები.

— ამბობენ, სეზონის ბოლოს მოსკოვის „ლოკომოტივში“ გასინჯვაზე მიდიხარ. მართალია?

— არ ვიცი, ჩემთან ამ თემაზე არავის ულაპარაკია. ისე, ხმები კი არის, მაგრამ რამდენად რეალურია, ვერ გეტყვი.

— „ტორპედო“ სტურუამ და მეგრელაძემ უკვე დატოვეს, ერთი-ორიც წასვლას აპირებს. რისი შანსი გექნებათ ამ სეზონში?

— რა გითხრა... ამბობენ, სამ-ოთხ ფეხბურთელს დავიმატებთო. პრეზიდენტიც გვპირდება, პირობები გაუმჯობესდებაო. ასე რომ, ვნახოთ...

— კი მაგრამ, სამ-ოთხ ფეხბურთელს თუ იმატებენ, სტურუა-მეგრელაძე რაღად გაუშვეს?

— არ ვიცი. ეს ჩემი საქმე არაა.

— როდის იკრიბებით?

— 14 იანვარს. მერე კი, ალბათ, უცხოურ შეკრებაზე წავალთ, სეზონის წინ ხომ საერთოდ ვერ მოვემზადეთ.

**ძახა შალამბერიძე**

# მერებაშვილის მერე ვიტ ჯორჯიაა?



„ტორპედოდან“ წამსვლელებს ახალი კაცი შეემატა — მცველი ლევან მერებაშვილი ქუთაისის დატოვებას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ მერებაშვილი „ტორპედოში“ ამ სეზონის წინ თბილისური „ვიტ ჯორჯიადან“ გადავიდა და, დიდი შანსია, სწორედ „ვიტ ჯორჯიაში“ დაბრუნდეს. ეს საკითხი ახალ წლამდე უნდა გაირკვეს, თუმც მერებაშვილს სხვა ვარიანტიც აქვს — თბილისის „ლოკომოტივი“.

„ტორპედოზე“ იმასაც გეტყვით, რომ შესაძლო წამსვლელთაგან სამის ბედიც გაირკვა — დავით გამეზარდაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე და დავით ბოლქვაძე გუნდს არ დატოვებენ.

**ლუკა თალაკვაძე**

# ჯანმრთელობის უქმეები პატარ-პატარა გოლებით



დიდამ და კალაძემ „ფიორენტინასთან" კარი მშრალად შეინახეს

ამ უქმეების მთავარი ამბავი საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების, კახა კალაძის და შოთა არველაძის გამოჯანმრთელებაა. ორივემ ძირითადში ითამაშა, ორივეს გუნდმა დიდი ანგარიშით მოიგო და ორივე მეორე ადგილზეა სატურნირო ცხრილში

*„მილანმა" 6:0 გაანადგურა „ფიორენტინა".* *კახა კალაძემ* მარცხენა ფლანგი უშეცდომოდ აკონტროლა. საინტერესოა, რომ მანამდე ჩვენებურს ორი ტური გაუცდა ტრავმის გამო, თუმც, როგორც კი გამოჯანმრთელდა, ძირითად შემადგენლობაში ერგო ადგილი და სრულადაც ითამაშა. „მილანი" კი ოთხი ქულით ჩამორჩება ლიდერ „იუვენტუსს".

*მეტი სიმჭიდროვეა შოტლანდიური პრემიერლიგის სათავეში.* „რეინჯერსმა" 3:0 მოუგო „დანდის" და მოშულარ „სელტიკს" კვლავაც კუდში სდევს — „ჩაფრებს" ქულაღა აშორებთ მთავარი კონკურენტებისგან. ორივე ქართველი სასტარტოში იყო: *ზურაბ ხიზანიშვილმა* ბოლომდე ითამაშა, *შოთა არველაძე* კი 64-ე წუთზე შეცვალეს — ამ დროისთვის ანგარიში უკვე 3:0 იყო.

*პირველი ტრირული გოლი გაიტანა დავით სირაძემ.* ტრირელებმა „ზაარბრიუკენთან" შეხლაში მოიპოვეს სამი ქულა და გადამწყვეტი დარტყმა სწორედ სირაძისა გახლდათ. გარდა ამისა, ჩვენებური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც მიიჩნია გერმანულმა „კიკერმა".

*კვიპროსის ჩემპიონატში „ანართოსისმა" კვლავაც გაილაღა.* თუ წინა ტურში ფამაგუსტელებმა 5:0 მოიგეს, ახლა 4:0 იკმარეს. *თემურ ქეცბაიას* გუნდის საკბილო ამჯერად „ალკი" შეიქნა. თავად ქეცბაიამ დუბლი მიითვალა, ერთი გოლიც შეცვლაზე შესულმა *დავით ჩალაძემ გიორგი ქინქლაძის* პასით გაიტანა.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ფიორენტინა 6:0 | 90 | | 8 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ფრაიბურგი 1:1 | 90 | | 15 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | შალკე 1:1 | 90 | | 15 | 2 | 18 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | შალკე 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 1 | 18 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ობერჰაუზენი 2:0 | 2 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 1 | 7 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | ზაარბრიუკენი 2:1 | 71 | 1 გოლი, შეცვალეს | 8 | 1 | 11 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | დანდი 3:0 | 64 | შეცვალეს | 13 | 2 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | დანდი 3:0 | 90 | | 12 | 0 | 2 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ბრეგენცი 1:1 | 69 | შეცვალეს | 20 | 4 | 9 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ვაშაკიძე | არისი | შ | ეგალეო 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 15 |
| ლევან მალრაძე | ქსანთი | შ | აეკ 1:1 | 71 | შეცვალეს | 10 | 0 | 5 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | მანისასფორი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 0 | 8 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | ალკი 4:0 | 90 | 2 გოლი | 10 | 4 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | ალკი 4:0 | 90 | საგოლე პასი | 9 | 2 | 2 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | ს | ალკი 4:0 | 90 | | 11 | 2 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | ალკი 4:0 | 0 | | 2 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | ს | ალკი 4:0 | 31 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 7 | 2 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | დიგენისი 1:0 | 89 | შეცვალეს | 11 | 3 | 9 |
| გიორგი ანჩაბაძე | პარალიმნი | შ | დიგენისი 1:0 | 0 | | 10 | 2 | 9 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | შ | აშნა 2:2 | 0 | | 6 | 1 | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# სირაძემ დაფიცებული გაიტანა

## და კართან დახვდა მილოცვები და საჩუქრები

გუშინწინ პირველი წრე გერმანიის მეორე ბუნდესლიგამაც ჩაათავა და ერთი საჩვენო კარგი ამბავიც მოხდა: დავით სირაძის „ტრირმა" შინ 2:1 მოუგო „ზაარბრიუკენს", ქართველმა ნახევარმცველმა ტრირელთა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 32-ე წუთზე გოლითაც შეენია თავისიანებს. ეს პირველი ტრირული გოლია სირაძისთვის და გუშინ რომ მოვულოცეთ, ბუნებრივია, ძალიან გახარებული იყო...



— წლეულს ბოლო მატჩი ვითამაშეთ და ძალიან მოვინდომეთ. თამაშიც მთლიანად ჩვენი იყო და უფრო დიდი ანგარიშითაც უნდა მოგვეგო. გატანილმა გოლმა კი კინაღამ გადამრია. რა ვიცი, მგონი, ნდობა გავამართლე.

— გოლი როგორ გაიტანე?

— პეკოვიჩმა საჯარიმოს მისადგომებთან დამიგორა ბურთი, გავისწორე და მარცხენა მაღალ კუთხეში გავიტანე. ლამაზი გოლი იყო, თან ანგარიშიც 2:0 გახდა და უფრო მშვიდად ავთამაშდით.

— კიდევ გქონდა მომენტები?

— კი, ორჯერ. ერთხელ ძელიდან ასხლეტილი ბურთი სწრაფად წამოვიდა ჩემკენ და კარგად ვერ დავარტყი, მეორედ კი ჩაწოდებულს ოდნავ ვერ მივუსწარი... ძალიან მონდომებული ვთამაშობდი. მწვრთნელმა პაულ ლინცმა სამი დღის წინ მითხრა, ძირითადში იქნები და კარგად მოემზადეო.

— ისევ თავდამსხმელების უკან ითამაშე?

— არა, მე და პაჩინსკი ვიყავით თავდასხმაში, ოღონდ მე უფრო უკანდახეული, თავისუფალი ფორვარდი ვიყავი.

— თბილისის „ლოკომოტივში" ბევრჯერ კი გითამაშია მაგ პოზიციაზე, მაგრამ გერმანიაში არ გაგიჭირდა?

— პირიქით, მე ვუთხარი მწვრთნელს, თავდასხმაში თუ მათამაშებთ, აუცილებლად გავიტან-მეთქი. საქმე ისაა, რომ ზრდილიჩი ძირითადში აღარ ჰყავთ, ლაბაკს დისკვალიფიკაცია ჰქონდა და თავდასხმაში ადგილი გათავისუფლდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ ისევ ნახევარდაცვაში მომიწევდა თამაში, მაგრამ ლინცმა გარისკა.

— და შენც გაუმართლე... მატჩის შემდეგ არ შეგაქო?

— კი, გადამეხვია და მითხრა, ვიცოდი, რომ არჩევანში არ შევცდებოდიო.

— ესე იგი, მეორე წრეშიც თავდამსხმელად ითამაშებ?

— შესაძლოა, ასეც იყოს.

— ზამთრის შესვენებაზე რომელიმე ფორვარდს ხომ არ იმატებს „ტრირი"?

— არა, პირიქით, ზრდილიჩი მიდის. ის გამოცდილი თავდამსხმელია, პირველ ბუნდესლიგაშიც თამაშობდა და ერთი პერიოდი შოტლანდიურ „აბერდინშიც" წამყვანი ძალა იყო. მწვრთნელმა თქვა, შეკრული გუნდი მყავს და ახალი ფეხბურთელების დამატება არ გვჭირდებაო.

— მეორე წრე წინ არის, მაგრამ „ტრირი" საკმაოდ ჩამორჩება ლიდერებს. პირველ ბუნდესლიგაში გადასვლაზე მაინც ფიქრობთ?

— ერთი შეხედვით, პირველ ბუნდესლიგაში გადასვლა ძნელია, მაგრამ 17 თამაში გვაქვს დარჩენილი და 11-12 ქულის ამოქაჩვა წარმოუდგენელი სულაც არ უნდა იყოს. რაც მთავარია, აქ ყოველთვის დაძაბული თამაშებია და წინასწარ ვერავინ იტყვის, ვინ ვის მოუგებს. მაგალითად, ლიდერებს — „კიოლნსა" და „ფიურტს" ფრე ვეთამაშეთ, მაგრამ იმხელა უპირატესობა გვქონდა, დიდი ანგარიშით მოგებაც შეგვეძლო.

— მწვრთნელს შეუქიხარ და გულშემატკივრებისგან არ მიგიღია მილოცვები?

— „ტრირს" სასწაული გულშემატკივრები ჰყავს, ყველა თამაშზე სტადიონს ბოლომდე ავსებენ. სასტარტოში რომ დამინახეს, ჯერ მაშინ მომიწყვეს ოვაციები, თამაშის შემდეგ კი... ახლა მოვედი სახლში და კართან მილოცვის წერილები დამხვდა. ჯერ არ მინახავს, მგონი, საჩუქრებიც გამოუგზავნიათ...

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ესპანეთში ასეთი რამ აქამდე არასდროს მომხდარა: ფეხბურთის მატჩი სტადიონის აფეთქების მუქარამ ჩაშალა. უცნობმა ბასკურ გაზეთ „გარას" რედაქციაში დარეკა და თქვა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუ", სადაც „რეალი" ბასკურ „სოსიედადს" მასპინძლობდა, დანაღმული იყო და ბომბი 21 საათზე აფეთქდებოდა*

# 7 წუთი

## ბომბით შეშინებული რეალ – სოსიედადი 5 იანვარს დასრულდება






**ეს ინფორმაცია** უმალ აცნობეს სტადიონის უსაფრთხოების სამსახურს. უსაფრთხოების აგენტმა მატჩის არბიტრს შეატყობინა, მან კი თამაში უმალ შეწყვიტა და ფეხბურთელებს მოედნიდან გასახდელისკენ გაუძღვა. გულშემატკივრებს, სტადიონის დაცლა მაქსიმალურად სწრაფად რომ მომხდარიყო, მოედანზე გადასვლის უფლებაც მისცეს. ამ გარემოებამ, რაც უნდა უცნაური იყოს, ბევრი გულშემატკივარი ძალიან გაახარა — „ბერნაბეუს" მოედანზე გავლას და სურათის გადაღებას ხომ ვერასდროს მოახერხებდნენ.

სტადიონი მთლიანად რომ დაიცალა — არადა, 70 ათასი კაცი იყო — 21 საათამდე ათი წუთი კიდევ რჩებოდა.

ამის მერე საქმეში გამნაღმველები და საგანგებოდ გაწვრთნილი ძაღლები ჩაებნენ. გუშინწინ ღამით ესპანურმა გაზეთებმა დაწერეს, რომ გამნაღმველებმა საეჭვო ჩანთა აღმოაჩინეს, თუმც გუშინდელ ოფიციალურ კომენტარში ამაზე არაფერი თქმულა. „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა თქვა, საბედნიეროდ, სტადიონზე ბომბი არ ყოფილაო.

გუშინ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში „რეალის" და „სოსიედადის" წარმომადგენელთა შეხვედრაზე გადაწყდა: 87-ე წუთზე შეწყვეტილი მატჩის დარჩენილ სამ და წამატებულ ოთხ წუთს 5 იანვარს ითამაშებენ. გუშინწინდელ მატჩზე ბილეთის მქონე გულშემატკივრებს კი დარჩენილი 7 წუთის საყურებლადაც შეეძლებათ მისვლა. ცხრილში კი ისეთი მდგომარეობაა, რომ თუ „რეალი" იმ შვიდ წუთში გოლს ვერ გაიტანს და თამაში ფრედ, 1:1 დასრულდება, „სამეფო კლუბი" მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდება.

და მთავარი კითხვაც, რომელიც ყოველთვის ჩნდება ამგვარ სიტუაციებში: ვინ დგას აფეთქებული თუ აუფეთქებელი ბომბის უკან? ამ კითხვაზე ერთი პასუხია და მის საძებნელად შორს წასვლა საჭირო არ არის: ETA.

ამ ტერორისტულმა ორგანიზაციამ უკვე მეორედ შეუტია „სანტიაგო ბერნაბეუს". პირველად 2002 წელს, როცა ჩემპიონთა ლიგის მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე სტადიონის წინ დანაღმული მანქანა ააფეთქა. საბედნიეროდ, მაშინც არავინ დაღუპულა, თუმცა 17 კაცი კი დაიჭრა.

# რა არის ETA

*უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, ბასკი ტერორისტები სისხლიანი აფეთქებებით ცდილობენ ჩრდილოეთ ესპანეთისა და სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის შვიდი რეგიონისთვის დამოუკიდებლობის მოპოვებას.*

***EUSKADI TA AZKATASUNA** — ასე იშიფრება ევროპაში მოქმედი ყველაზე სისხლიანი ტერორისტული ორგანიზაციის სახელწოდება ბასკურიდან, რაც ბასკთა სამშობლოს და თავისუფლებას ნიშნავს. ისე, ჩვენ ჩვენს სამშობლოს საქართველოს რომ ვეძახით, დანარჩენი მსოფლიო კი გეორგიას, ბასკებიც ასე არიან: მთელი მსოფლიო მათ ქვეყანას ბასკეთს ეძახის, არადა, ეუსკადი ჰქვია.*

**თავდაპირველად**, წინა საუკუნის 50-იან წლების მიწურულს, ბასკთა განმანთავისუფლებელი მოძრაობა სტუდენტური იყო. სტუდენტები ესპანეთის დიქტატორის, გენერალ- სიმუს ფრანკოს წინააღმდეგ გამოდიოდნენ. სხვათა შორის, ფრანკოს სრული სახელი ასეთია: ფრანსისკო პაულინო ერმენგილდო ტეოდელო ფრანკო ი ბაამონდე სალგადო პარდო დე ანდრადე. მოგვიტევეთ უადგილო ხუმრობისთვის და, ეგ ყოფილა მიჩელ სალგადოს და ჟორჟე ანდრადეს ბაბუა.

თუმც ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ გამოსულ ბასკ სტუდენტებს საქმე სახუმაროდ არ ჰქონდათ და ცამდე მართლებიც იყვნენ. ფრანკომ ბასკებს არათუ კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ავტონომია წაართვა, ბასკურ ენაზე ლაპარაკიც აუკრძალა.

ETA 1959 წელს დაარსდა, თუმც აქტიური საქმიანობა მხოლოდ ორი წლის მერე დაიწყო. კარგა ხნის განმავლობაში ETA მხოლოდ პოლიტიკური ფორმებით ებრძოდა ფრანკოს რეჟიმს, 1968 წლიდან კი ბრძოლის იარაღად ტერორი აირჩია. ორგანიზაციის სისხლიანი ისტორიაც აქედან იწყება. ისტორიამ ETA-ს პირველი მსხვერპლის სახელიც შემოინახა — მელიტონ მანზანასი სან სებასტიანის საიდუმლო პოლიციის შეფი იყო. მას მერე ტერორისტთა მსხვერპლთა რაოდენობამ რვაას გადააჭარბა.

გენერალსიმუსი ფრანკო 1975 წელს გარდაიცვალა და ესპანეთი დემოკრატიის გზას დაადგა. ქვეყნის სათავეში კონსტიტუციური მონარქი, მეფე ხუან კარლოსი მოვიდა, 1978 წლის კონსტიტუციამ კი რეგიონებს უზურმაზარი ავტონომია მიანიჭა. ისიც არის, რომ რეგიონებს თანაბარი ავტონომიები არ აქვთ. ყველაზე დიდი ავტონომიები კონსტიტუციამ ბასკეთს, კატალონიას და გალისიას მიანიჭა. დაცულია მათი ენები, ჰყავთ პარლამენტები, იქ მიღებული შემოსავლის უმეტესი ნაწილიც მათსავე ბიუჯეტში რჩება.

ამ სამეულზე ნაკლები, მაგრამ მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი ავტონომიები აქვთ ანდილუსიას, ნავარას, ვალენსიას და კანარის კუნძულებს. ასტურიის და არაგონის ავტონომიები კი ძირითადად კულტურულია, დანარჩენებს კიდევ უფრო ნაკლები ავტონომიური უფლებები აქვთ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის 17 რეგიონს შორის ბასკებს ყველაზე ფართო ავტონომია აქვთ, ETA-ს საქმიანობა ფრანკოს სიკვდილის მერეც არ შეჩერებულა. ორგანიზაციის მოთხოვნა ძველებურად სრული დამოუკიდებლობა იყო, თავად ორგანიზაციას კი ამ დროისთვის ბევრიც აღარაფერი ჰქონდა საერთო იმ თავდაპირველ სტუდენტურ მოძრაობასთან, ფრანკოს პროკლამაციებით რომ ებრძოდა.

ყველაზე სისხლიანი 70-იანის ბოლო წლები იყო. ETA ყოველწლიურად 100 კაცზე მეტს კლავდა. შედარებისთვის: 2003 წელს ETA-მ მხოლოდ სამი ადამიანი იმსხვერპლა. საერთოდ კი, ორგანიზაციის მსხვერპლთა უმრავლესობა სამოქალაქო გვარდიის — ესპანეთის ნაციონალური პოლიციის ჩინოსნები არიან.

ETA სამხრეთ საფრანგეთშიც აწყობს ტერაქტებს, თუმც თავისი მასშტაბებით ფრანგული ტერაქტები ბევრად ჩამოუვარდება ესპანეთისას.

გულუბრყვილობა იქნება იმაზე ფიქრი, რომ ETA-ს ხალხში მხარდაჭერა არ ჰქონდა და არ აქვს. თუმც 1997 წლიდან ორგანიზაციისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა და ახლა ის გაცილებით ნაკლებადაა პოპულარული, ვიდრე აქამდე იყო. მხარდამჭერთა დამოკიდებულებაში გარდატეხა მიგელ ანხელ ბლანკოს მკვლელობამ გამოიწვია. 29 წლის ბლანკო მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო და მთელ ქვეყანაში პოპულარულ პოლიტიკოსად ითვლებოდა. ხელისუფლებამ ტერორისტებს უარი უთხრა მათი მომხრე 460 პატიმრის გათავისუფლებაზე, რის გამოც ბლანკო თავში ორჯერ გასროლით მოკლეს. სხვათა შორის, ეს ძალიან იშვიათი შემთხვევა იყო — ETA პისტოლეტის გამოყენებას ყოველთვის ერიდებოდა და მეტწილად ბომბებს აფეთქებდა.

ბლანკოს მკვლელობამ საერთოსახალხო მღელვარება გამოიწვია და მთელ ესპანეთში ექვსი მილიონი ადამიანი გამოვიდა საპროტესტო დემონსტრაციაზე. მათ შორის ETA-ს ყოფილი მომხრეებიც იყვნენ.

სახალხო გამოსვლების მერე მთავრობამ ორგანიზაციაზე ერთი ძლიერი დარტყმა მიიტანა: ბატასუნა აკრძალა.



ETA იმიტომ გაჩნდა, რომ იყო ფრანკო

ბასკთა განმანთავისუფლებელი მოძრაობა ორი ნაწილისგან შედგება. ტერორისტული ფრთა ETA და პოლიტიკური პარტია ბატასუნა. ფუნქციები მათ შორის ასე იყო განაწილებული: ბატასუნა მოთხოვნებს აყენებდა, ETA კი, შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბომბებს აფეთქებდა. სხვადასხვა წლებში ბატასუნას სხვა სახელებიც ერქვა: თავდაპირველად ერი ბატასუნა, მერე ეუსკალ ერიტაროკი, ბოლოს კი უბრალოდ ბატასუნა.

როცა ბატასუნა აკრძალეს, მისი ლიდერები კი დააპატიმრეს, ბატასუნელებმა თავის გადარჩენის მიზნით ETA-სთან კავშირი უარყვეს და ტერორიზმიც დაგმეს. თუმც ეს, ცხადია, არავინ ირწმუნა.

წლეულს, ოქტომბერში, საფრანგეთის და ესპანეთის მთავრობებმა ETA-ს კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა მიაყენეს. რეიდების დროს ორგანიზაციის ათობით წევრი დააპატიმრეს, მათ შორის, ETA-ს ლიდერი მიკელ ალბისუ და მისი საყვარელი მარია სოლედად იპარაგირე.

ETA-ს დარჩენილ წევრთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. ფიქრობენ, რომ ტერაქტების შემსრულებელთა რიცხვი ოცდაათზე მეტი არ უნდა იყოს. ხელმძღვანელები კი დაახლოებით ოცნი არიან.

**გიორგი დარჯანია**



2002 წლის 1 მაისი. ბასკმა ტერორისტებმა ეს მანქანა „სანტიაგო ბერნაბეუსთან" აფეთქეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პერესი ბომბმა შეაშინა, პოლიციამ დაამშვიდა

*საბედნიეროდ, შიშსა და პანიკას სიფხიზლის გრძნობამ აჯობა — განუცხადა „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ესპანურ მედიას. „რეალ“ — „სოსიედადის“ ჩაშლილ მატჩსა და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბომბის არსებობაზე პერესს მადრიდული AS-ი ესაუბრა*



— შესაძლო აფეთქების შესახებ როდის შეიტყვეთ?

— ტრიბუნაზე ვიყავი, როდესაც მანუელ რედონდომ („რეალის“ საპრეზიდენტო საბჭოს წევრი), მითხრა, სტადიონზე აფეთქების საფრთხე არსებობსო. ამის შემდეგ ლოჟა სასწრაფოდ დავტოვეთ და გადაწყვეტილების მისაღებად პოლიციასთან ვითათბირეთ. ანონიმური ზარის მიხედვით, ბომბს 9 საათზე აფეთქებდნენ, ამიტომაც ხალხის გადასარჩენად საკმაო დრო გვქონდა. 20 საათსა და 40 წუთზე „ბერნაბეუს“ ევაკუაცია გადავწყვიტეთ, გვინდოდა, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულებულიყო, რაც შევძელით კიდეც.

— სტადიონიდან ხალხის გასვლა ყოველგვარი ინციდენტის გარეშე მოხდა...

— დიახ, საბედნიეროდ, ხალხმა შიშსა და პანიკას სძლია. ევაკუაციის გეგმა პოლიციასთან ერთად შევიმუშავეთ და თავადაც ნახეთ, გულშემატკივართა გადაადგილება სწრაფად და უმტკივნეულოდ მოვახდინეთ. „ბერნაბეუზე“ დამცავი ბარიერები არ არის და ხალხმა სტადიონის მიტოვება სარეკორდოდ მოკლე დროში შეძლო.

— პირადად თქვენ ძალიან აღელდით?

— არ დავბნეულვარ, ოღონდ ვაღიარებ, რომ შემეშინდა. უსაფრთხოების სამსახურმა გამართულად იმუშავა, ყველაფერი მოწესრიგებული იყო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ტერორისტების საბედისწერო უზუსტობას უამრავი ადამიანის სიკვდილი მოჰყოლოდა? მადრიდში ძველი აფეთქებები გაიხსენეთ... საბოლოოდ თქვენც იცით, „ბერნაბეუზე“ ბომბი ვერ აღმოაჩინეს.

— ანუ, ცრუ განგაში გამოდგა...

— პოლიციამ და გაწვრთნილმა ძაღლებმა მთელი სტადიონი ძირფესვიანად გადაჩხრიკეს — მინდორი, გასახდელები, ავტოსადგომი — საეჭვო არაფერი არ იყო. ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ. „ბერნაბეუს“ უსაფრთხოებაში დარწმუნებულმა დაცვამ ფეხბურთელებს გასახდელებში მიბრუნების ნება დართო, რათა თავიანთი ნივთები აეღოთ და სახლებში წასულიყვნენ.

— თუმც, ითქვა, რომ ტრიბუნაზე რაღაც ჩანთა მაინც აღმოაჩინეს...

— მარტო ერთი ჩანთა არ უნახავთ. ქომაგებმა სიჩქარეში ნივთები ადგილზე დატოვეს და სექურითებიც მათ ჩანთებს პოულობდნენ. ყველაფერი შევამოწმეთ და ასაფეთქებელ მექანიზმს ვერსად მივაგენით. თავად პოლიციის შეფმა დამიდასტურა, რომ განგაში ცრუ გახლდათ.

# ოლივერ კანის მეექვსე ცოდვა



ოლივერ კანის მორიგ შეცდომას აურზაური მოჰყვა. „შტუტგარტთან“ მატჩში ბურთი ვერ დაიჭირა, რითაც კურანიმ ისარგებლა და გოლი გაიტანა. „ჩემი ბრალია — თქვა კანმა — ან უნდა დამეჭირა, ან ისე მომეგერიებინა, რომ მეტოქეს არ ესარგებლა“.

გუშინ დილით კი გერმანიის ეროვნული გუნდი აზიურ ტურნეში ოლივერ კანთან ერთად გაემგზავრა. ბუნდესნაკრების მენეჯერმა ოლივერ ბირჰოფმა განაცხადა, „ბაიერნის“ მეკარეს ამხანაგურ მატჩებში თავისი ძალის დამტკიცების შანსი ექნებაო.

„ბილდმა“ გამოკითხვა ჩაატარა — მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების კარში ვინ უნდა იდგესო. გამოკითხვაში მაინც ბაიერნელმა გაიმარჯვა 53 პროცენტით, ტიმო ჰილდებრანდმა 35 მოაგროვა, ხოლო იენს ლემანს მხოლოდ 12 პროცენტი ერგო.

აღსანიშნავია, რომ ოლივერ კანისთვის ამ სეზონში ეს მეექვსე შეცდომაა. აქამდე მან „ალემანიასთან“, „ვერდერთან“, „იუვენტუსთან“, მადრიდის „რეალთან“ და ხორვატიის ნაკრებთან მიჰქარა.

ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, იოლად მოსაგერიებელი ბურთი იყო „შტუტგარტთან“, მაგრამ 35 წლის კაცს ძველებური რეაქცია აღარ აქვსო. კანმა კი უპასუხა, ბურთის ხელიდან გასხლტომასთან ასაკი რა შუაშიაო, ხოლო ზეპ მაიერს შეცდომა არ გაჰკვირვებია, მარჯვენა ხელის თითი სტკივა და სჯობდა, საერთოდ არ ეთამაშაო. „შტუტგარტთან“ შეხვედრაში ოლივერ კანი თითის დასაცავად „ადიდასის“ საგანგებო ხელთათმანით გასულა. „ბილდმა“ კი იმ მეკარეების ნუსხა გამოაქვეყნა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონები (1954 წლიდან) გახდნენ და მათი ასაკიც მიუთითა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1954 | გერმანია | ტონი ტურეკი | 35 |
| 1958 | ბრაზილია | ჟილმარი | 27 |
| 1962 | ბრაზილია | ჟილმარი | 31 |
| 1966 | ინგლისი | გორდონ ბენქსი | 28 |
| 1970 | ბრაზილია | ფელიქსი | 32 |
| 1974 | გერმანია | ზეპ მაიერი | 30 |
| 1978 | არგენტინა | უბალდო ფილოლი | 27 |
| 1982 | იტალია | დინო ძოფი | 40 |
| 1986 | არგენტინა | ნერი პუმპიდო | 28 |
| 1990 | გერმანია | ბოდო ილგნერი | 23 |
| 1994 | ბრაზილია | ტაფარელი | 28 |
| 1998 | საფრანგეთი | ფაბიენ ბარტეზი | 27 |
| 2002 | ბრაზილია | მარკოსი | 27 |

# გრაი გაერთა?

## ჰალილჰოჯიჩი ცემა-ტყეპისგან პრეზიდენტმა იხსნა

*ცსკა-სთან საშინაო მარცხს და ჩემპიონთა ლიგიდან პსჟ-ს გავარდნას პარიზულ კლუბში არეულობა მოჰყვა. მატჩის შემდეგ გუნდის კრება შედგა და დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა.*

*სულ ტყუილად ვისაუბრეთ — თქვა პსჟ-ს ერთ-ერთმა ფეხბურთელმა — კიდევ კარგი, პრეზიდენტი ფრანსის გრაიც იქ იყო და შუაში ჩაგვიდგა, თორემ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს ვცემდით*

პრეზიდენტი აქამდე ყოველთვის მფარველობდა ბოსნიელ მწვრთნელს, მაგრამ ამ კრების მერე ულტიმატუმი წაუყენა. „სოშოსთან“, „მეცთან“ და ლიგის თასზე „მონპელიესთან“ მატჩების მერე გადაწყდება შენი ბედიო.

პსჟ-ს ფეხბურთელებს ჰალილჰოჯიჩთან ბევრი პრეტენზია აქვთ. განსაკუთრებით გაბრაზებულია ალბანელი ლეგიონერი ლორიკ ჩანა, რომელსაც სემაკის გოლები დააბრალეს. ფეხბურთელებმა ისიც ვერ გაიგეს, რატომ დაავალა ჰალილჰოჯიჩმა მარჯვენაფლანგელ მენდის ცენტრალური მცველობა. ბოსნიელის დიქტატორულ მეთოდებს შარშან ფრედერიკ დეუ, გაბრიელ ჰაინცე და ფაბრის ფიორეზე გაექცნენ. ჰალილჰოჯიჩს „ლილში“ ყველაფერი კარგად გამოსდიოდა, მაგრამ პსჟ აშკარად არ არის მისი ადგილიო — ასეთია ერთ-ერთი ფრანგული გაზეთის აზრი.

რამდენიმე დღის წინ კი გუნდის ვარჯიშზე განრისხებული გულშემატკივარი მივიდა და ბერნარ მენდის დაუძახა — შე უნამუსო, ცოტა ოფლი მაინც მოიღვინეო. მენდიმ ქომაგის საცემად გაიწია, მაგრამ ლეტიზიმ და ჩანამ გააჩერეს. ვარჯიშის შემდეგ ქომაგმა მოიბოდიშა, პირადად მენდის არაფერს ვერჩი, ყველას მოგვბეზრდა გუნდის აბდაუბდა თამაშიო.

„მწვრთნელი საქმესთან დამოკიდებულებას თუ არ შეცვლის, უნდა წავიდეს“ — განაცხადა მავანმა ფეხბურთელმა. გაზეთი „ლე პარიზიენიც“ კლუბის პრეზიდენტს ჰალილჰოჯიჩის შეცვლას ურჩევს: „გუნდს აკლია თავდამსხმელი, გამთამაშებელი, მცველი. ტრანსფერებისთვის გამოყოფილი თანხა ბოსნიელმა უაზროდ დახარჯა. ვინ მოისურვებს ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილ გუნდში ფულის დაბანდებას?“

კულისებში საუბრობენ პოლ ლე გუენის მოყვანაზე, მაგრამ სეზონის ბოლომდე ეს შეუძლებელია. არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი — ჟაკ სანტინი, რომელიც „პარკ დე პრენსზე“ გრაისთან ერთად უნახავთ.

**ვაჟა ხუციშვილი**






ფრანსის გრაიმ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს უსაყვედურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

FRANCE Football




# შევჩენკოს ოქროს წელი
## ევროპის პირველი ნაღდი უკრაინელი

ანდრეი შევჩენკომ გუშინ თქვა, უმშვენიერესი წელი მქონდაო და მიზეზს ვერ იპოვი, მის გულწრფელობაში ეჭვი რომ შეგეპაროს.

ჩამოვთვალოთ: ამ 12 თვეში შევჩენკომ პირველად მოიგო კარიერაში სკუდეტო; 24 გოლით სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა; დაქორწინდა ამერიკელ მოდელ კრისტინ პაზიკზე, რომელმაც ნოემბერში ვაჟი, ჯორდანი გაუჩინა; გუშინ კი ევროპულ გამოცემათა გამოკითხვით ის „ოქროს ბურთის“ მფლობელი შეიქნა.

გამოკითხვის შედეგები ასეთია: შევჩენკომ 175 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე დეკო გავიდა 139 ქულით, მესამეზე კი გაპორტუგალიელებული ბრაზილიელის ბრაზილიელი თანაკლუბელი რონალდინიოა 133 ქულით.

ამგვარად, წითელარმიელი ოფიცრის შვილი მესამე უკრაინელი გახდა, ვინაც „ფრანს ფუტბოლმა“ ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად გამოაცხადა. პირველი ოლეგ ბლოხინი იყო 1975 წელს, მეორე კი იგორ ბელანოვი 1986-ში. თუმცაღა ბლოხინი და ბელანოვი იმ დროს საბჭოთა კავშირის მოქალაქენი იყვნენ, შევჩენკო კი „ნაღდი“ უკრაინელია. ისე, ახლაც ესესერი რომ ყოფილიყო, ვინ გაუშვებდა შევჩენკოს ევროპაში... „მილანთან“ კონტრაქტის გაფორმების მერე კი შევჩენკომ აღიარა: „ვიცოდი, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში მილანელი სელექციონერები კიევის „დინამოს“ არცერთ თამაშს არ აცდენდნენ ჩემპიონთა ლიგაში და საგანგებოდ მაკვირდებოდნენ.“

ახლა კი წარმოიდგინეთ საბჭოთა ოფიცრის შვილი, რომელიც შუაგულ ევროპაში დასახლდა და უცბად ძალიან ბევრი ფული იშოვა. რამდენი პოსტსაბჭოური ფეხბურთელი იცით, ფულმა და კარგმა ცხოვრებამ ფეხბურთი რომ დაავიწყა. ამ დროს კი ანდრეი შევჩენკო პირველსავე იტალიურ სეზონში სერია A-ს ბომბარდირი გახდა. სულ კი მან ექვს იტალიურ სეზონში 102 გოლი შეაგდო. ამას ჩემპიონთა ლიგაში გატანილი გოლებიც შეგვიძლია დავუმატოთ. „მილანზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ, „დინამოს“-ის ლიგაში 17 გოლით შეეწია.

გუშინდელი აღიარების მერე შევჩენკომ თქვა: „მე ბედნიერი და ამაყი ვარ. „ოქროს ბურთს“ მთელ უკრაინელ ხალხს ვუძღვნი. მე ვამაყობ, რომ უკრაინელი ვარ.“

**ირაკლი ნინიძე**

## ანდრეი შევჩენკო

*დაიბადა 1976 წლის 29 სექტემბერს დვირკივშჩინაში (უკრაინა)*
*სიმაღლე: 183 სმ; წონა: 73 კგ*
*ამპლუა: თავდამსხმელი*

**კლუბები**

*დინამო კიევი (1994-1999): 118 მატჩი, 60 გოლი*
*მილანი (1999 წლიდან): 164 მატჩი, 102 გოლი*
*უკრაინის ეროვნულ ნაკრებში: 58 მატჩი, 26 გოლი*

**ტიტულები**

*უკრაინის ჩემპიონი (5): 1995, 1996, 1997, 1998, 1999*
*უკრაინის თასის მფლობელი (3): 1996, 1998, 1999*
*იტალიის ჩემპიონი (1): 2004*
*იტალიის თასის მფლობელი (1): 2003*
*იტალიის სუპერთასის მფლობელი (1): 2004*
*იტალიის სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი (2): 2000, 2004*
*ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1): 2003*
*ევროპის სუპერთასის მფლობელი (1): 2003*
*2004 წლის 13 დეკემბერს დასახელდა ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად*



პორტუგალიელი დეკო ანდრეი შევჩენკოს 36 ქულით ჩამორჩა

## ევროპის 2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა | 175 |
| დეკო სოუზა | ბარსელონა | პორტუგალია | 139 |
| რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია | 133 |
| ტიერი ანრი | არსენალი | საფრანგეთი | 80 |
| თეოდოროს ზაგორაკისი | ბოლონია | საბერძნეთი | 44 |
| ადრიანო | ინტერი | ბრაზილია | 27 |
| პაველ ნედვედი | იუვენტუსი | ჩეხეთი | 23 |
| უეინ რუნი | მანჩესტერ იუნ. | ინგლისი | 22 |
| რიკარდუ კარვალიუ | ჩელსი | პორტუგალია | 18 |
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერ იუნ. | ჰოლანდია | 18 |
| ანგელოს ხარისტიასი | ვერდერი | საბერძნეთი | 15 |
| მილან ბაროში | ლივერპული | ჩეხეთი | 11 |
| კრისტიანო რონალდო | მანჩესტერ იუნ. | პორტუგალია | 11 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | იუვენტუსი | შვედეთი | 8 |
| სამუელ ეტოო | ბარსელონა | კამერუნი | 7 |
| კაკა | მილანი | ბრაზილია | 7 |
| ტრაიანოს დელასი | რომა | საბერძნეთი | 5 |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი | იტალია | 5 |
| დიდიე დროგბა | ჩელსი | კოტ დივუარი | 5 |
| ფრენკ ლამპარდი | ჩელსი | ინგლისი | 5 |
| ფერნანდო მორიენტესი | რეალი | ესპანეთი | 5 |
| ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია | 4 |
| ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი | 3 |
| რუბენ ბარახა | ვალენსია | ესპანეთი | 2 |
| ლუდოვიკ ჟიული | ბარსელონა | საფრანგეთი | 2 |
| მანიშე რიბეირუ | პორტუ | პორტუგალია | 2 |
| ანტონის ნიკოპოლიდისი | პანათინაიკოსი | საბერძნეთი | 2 |
| პაოლო მალდინი | მილანი | იტალია | 1 |
| ვისენტე როდრიგესი | ვალენსია | ესპანეთი | 1 |

*უქულოდ: აილტონი (შალკე, ბრაზილია), რობერტო აიალა (ვალენსია, არგენტინა), ფაბიენ ბარტეზი (მარსელი, საფრანგეთი), დევიდ ბექემი (რეალი, ინგლისი), პეტრ ჩეხი (ჩელსი, ჩეხეთი); ემერსონი (იუვენტუსი, ბრაზილია), ჟუნინიო პერნამბუკანო (ლიონი, ბრაზილია), მიხალის კაპსისი (ბორდო, საბერძნეთი), ჰენრიკ ლარსონი (ბარსელონა, შვედეთი), იოან მიკუ (ვერდერი, საფრანგეთი), მიგელ მისტა (ვალენსია, ესპანეთი), ალესანდრო ნესტა (მილანი, იტალია), ანდრეა პირლო (მილანი, იტალია), ხოსე ანტონიო რეიესი (არსენალი, ესპანეთი), რონალდო (რეალი, ბრაზილია), ტომაშ როსიცკი (დორტმუნდი, ჩეხეთი), პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნ, ინგლისი), კლარენს ზეედორფი (მილანი, ჰოლანდია), იურკას სეიტარიდისი (პორტუ, საბერძნეთი), ფრანჩესკო ტოტი (რომა, იტალია), პატრიკ ვიეირა (არსენალი, საფრანგეთი)*

ეროვნული ბიბლიოთეკა





*კვირა საღამოს, „არსენალ“ — „ჩელსის“ შემდეგ ჟოზე მაურინიუ აცხადებს, რომ მისი გუნდი ვერაგულად მოატყუეს და ტიერი ანრის ეშმაკურმა ჯარიმამ „არსენალი“ გადაარჩინა.*

*მარუნიუ გაცეცხლებული ლანძღავდა შეხვედრის მსაჯს, გრემ პოლს.*

# ასე გატანა მოსულა?!

## გოლი კანონიერია: ანრის კედელი არ მოუთხოვია

„საკმარისია წესები იცოდე — ამბობდა მაურინიუ — სეზონის წინ, მსაჯები საგანგებოდ მოვიდნენ ჩვენთან და ცხრა მეტრისა და სასტვენის წესი აგვიხსნეს“.

იმ თამაშში ანრიმ მაშინ დაარტყა კარში, როცა „ჩელსის“ მეკარე პეტრ ჩეხი კედელს აყენებდა, მანამდე კი მსაჯი პოლი ანრისა და გუდიონსონს რაღაცას ეკითხებოდა.

მაურინიუ ამბობს, რომ პოლს აუცილებლად უნდა დაესტვინა: „გაბრაზებული ვარ. ასეთ ჯარიმას ჩინეთშიაც არ ჩათვლიდნენ“.

გრემ პოლმა კი სულ იოლად ახსნა ეპიზოდი: „ანრის ვკითხე, კედელი გინდა-მეთქი? მან ძალიან ზრდილობიანად მომიგო, შეიძლება, პირდაპირ რომ დავარტყა? მე ვუპასუხე, ჰო. ეს არის კანონის ნაწილი, ასეთია შეთანხმება. ზუსტად ასე იყო. მე მივანიშნე, რომ დაერტყა და ანრიმაც დაარტყა. ასეთივე შემთხვევა ორი წლის წინაც მქონდა, როცა „ჩელსი“ „ვესტ ჰემს“ ეთამაშებოდა თასზე. მაშინ ჯიმი ჰასელბაინკმა ზუსტად ასე გაიტანა“.

თავად ანრიმაც იგივე უთხრა მედიას: „მსაჯმა მკითხა, კედელი და 9 მეტრი გინდაო? მე ვთხოვე, პირდაპირ დავარტყამ-მეთქი. წინ გუდიონსონი მედგა, გაიწია თუ არა, დავარტყი“.

არსენ ვენგერი კი მაურინიუს ნაამბობმა გააკვირვა: „ჩელსიში“ მსაჯი მისულა და ყველაფერი აუხსნია. ჩვენთან კი არავინ ყოფილა. ადრე ასეთი გოლი „ლიდსმა“ გაგვიტანა. ტიერიმაც გაუტანა „ასტონ ვილას“. ზოგიერთი წესი ეგებ მეც არ მომწონდეს, მაგრამ ვემორჩილები“.

„ჩელსის“ მენეჯერს უკვე თავისებურები შეუჩიჩხინა სერ ალექს ფერგიუსონმა: „ძნელი საქმეა, რომ ათი ქულა ამოვუღოთ „ჩელსის“, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მათ არა აქვთ აუცილებლად მოსაგები თამაშების მოგების გამოცდილება. ამას ყველა მწვრთნელი გეტყვით ლიგაში. ასეთი რამ მხოლოდ ჩვენ და „არსენალს“ შეგვიძლია“.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ესპანეთი

**სამეფო თასი**
**მერვედფინალის წილისყრა**

ლანსაროტე — ბილბაო; უელვა — სევილია; ვალიადოლიდი — რეალი; ლორკა — ატლეტიკო; გრამანეტი — ლეიდა; მირანდესი — ბეტისი; ელჩე — ნუმანსია; ოსასუნა — ხეტაფე

*პირველი მატჩები გაიმართება 2005 წლის 12 იანვარს, საპასუხოები — 19 იანვარს*

### ურუგვაი

**კლაუსურა. პლე ოფი**
**ფინალი. I მატჩი**

**ნასიონალი 4:1 დანუბიო**

*საპასუხო მატჩი ხვალ გაიმართება*

### ჩილე

**კლაუსურა. პლე ოფი**
**ნახევარფინალი**
**საპასუხო მატჩები**

**კოლო კოლო 1:1 *კობრელოა* (1:4)**
**უნივერსიდად კათოლიკა 3:1(პენ.3:4) *უნიონ ესპანიოლა* (1:3)**

### პერუ

**კლაუსურა. XXII ტური**

სპორტინგ კრისტალი — ესტუდიანტესი 4:2; სეზარ ვალეხო — მელგარი 1:0; ატლეტიკო — სპორტ ბოისი 5:0; ვანკა — უნიონი 1:1; კორონელი — უნივერსიტარიო 0:0; ალიანსა — სან მარტინი 2:1; უნივერსიდადი — სიენსიანო 4:1




*პაველ ნედვედმა გვიან, შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გაიტანა ბოლონიელთა კარში გოლი, რომელიც „სტადიო დალ პრაზე“ ჩატარებულ შეხვედრაში ერთადერთი აღმოჩნდა და რომლის წყალობითაც „იუვენტუსი“ ცხრილში ოთხქულიან ლიდერობას ინარჩუნებს.*

# ბოლონია მსაჯს ზლატანის ჯარიმას და ჩიპრიანის კოჭს ედავება

**ნედვედმა** აუღებელი და შეუჩერებელი ჯარიმა დაარტყა, ბოლონიელები კი აღშფოთდნენ. მათი რწმენით, მსაჯს, პიერის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის მაისურის დაქაჩვისთვის ძალიან სახიფათო ადგილას, საჯარიმოს კიდესთან ჯარიმა არ უნდა დაენიშნა, რადგან წესის დარღვევა არ იყო.

იმ დღეს, შუადღისას, მოგეხსენებათ, მდევარმა „მილანმა“ „ფიორენტინას“ უმასპინძლა და 6:0 გაანადგურა, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ბებერ ქალბატონს“ საღამოს თამაში აუცილებლად უნდა მოეგო, თორემ გამოდიოდა, რომ კონკურენტების უშუალო დაპირისპირების წინ მათ შორის სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდებოდა.

საეჭვო იყო 64-ე წუთის ამბავიც, როდესაც ჯაკომო ჩიპრიანი „იუვენტუსის“ საჯარიმოში შეიჭრა და ლილიან ტურამთან ორთაბრძოლისას დაეცა. გამეორებებზე გამოჩნდა, რომ ტურამმა ბურთს ფეხი ვერ გაკრა, ჩიპრიანის კი კოჭზე შეეხო. ასე რომ, არ არის გამორიცხული, აქ პენალტის დანიშვნა ყოფილიყო უპრიანი.

„დიდებული თამაში იყო, რომელშიც ორივე გუნდმა დიდი მონდომება ჩააქსოვა — განაცხადა მატჩის შემდეგ „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ — აშკარა იყო, რომ მოგება „იუვენტუსსაც“ უნდოდა და „ბოლონიასაც“. თითქოს ფრეზე ორივე უარს აცხადებდა“.

კაპელოს უთხრეს, რომ „იუვენტუსი“ ახლა უფრო ცუდ ფორმაშია, ვიდრე სეზონის დასაწყისში, როდესაც, თამაშს თამაშზე ლაღად იგებდა, რაზეც მან მიუგო:

„ფიზიკურად ახლა უკეთესად ვართ, მაგრამ სეზონის დასაწყისში რომ ვიყავით, ისეთ ჭკუაზე, როგორც ჩანს, აღარ ვართ“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ბოლონიამ“ იმ ჯარიმის გამო, რომლის შემდეგაც ნედვედმა გამარჯვების გოლი გაიტანა, პროტესტი გამოთქვა.

„არა მგონია, იმ ჯარიმის გამო ბოლონიელებს ბევრი ჰქონდეთ საპროტესტო — განაცხადა ჩეხმა ვარსკვლავმა — თამაშის ბოლოს გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდით. ახლა „მილანთან“ მომავალ თამაშზე გვეკითხებიან. რა შეიძლება ითქვას? მილანელები ჩინებულ ფორმაში არიან და ამის მკაფიო მაგალითი „ფიორენტინას“ 6:0 დამარცხებაცაა. მე გასული კვირა საწოლში გავატარე, სიცხე მქონდა, ამიტომ დღეს საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ერთი კვირის შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება. მეტი რა, იმედი გამოვთქვათ, რომ საინტერესო თამაში გამოვა“.

და ბოლოს, ციტატა „ბოლონიას“ მწვრთნელის, კარლო მაცონეს წინა კვირის ინტერვიუდან. ეს ხუმრობა, ვფიქრობთ, თვალნათლივ დაგვანახებს, როგორ ზედმიწევნით იცნობენ იტალიელი მწვრთნელები ერთმანეთის გუნდებს და რაოდენ ზუსტი პროგნოზირება შეუძლიათ.

„ჩვენ „იუვენტუსთან“ 94-ე წუთამდე 0:0 უნდა ვითამაშოთ და მერე გავიტანოთ გამარჯვების ერთადერთი ბურთი... წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტოქე ყველაფრით გვჯობს და დაგვამარცხებს“.

„ბოლონიამ“ 86-ე წუთამდე ითამაშა 0:0, მერე კი „იუვენტუსმა“ შეაგდო.

**პაპუნა ქედია**



ბოლონიელთა მეკარე ჯანლუკა პალიუკამ მსაჯს ლამის თვალი გამოთხარა

# ბალდინის მეთვრამეტე არ აპატიეს
## ჯილარდინო და საკი პარმაში რჩებიან



„პარმამ“ დაადასტურა, რომ მეთვრამეტე ადგილზე ჩავარდნის შემდეგ მწვრთნელი სილვიო ბალდინი თანამდებობიდან დაითხოვა.

ბალდინის ერთი თვის წინაც მოსახსნელად ჰქონდა საქმე, მაგრამ მაშინ არაფერი უთხრეს, ახლა კი, როდესაც სერია A-ში ახალაღზევებულმა „ლივორნომ“ თავმოყვარე გუნდს 2:0 მოუგო, თემამ ისევ მძაფრად წამოყო თავი.

„ბალდინი რეალურად და მორალურად გუნდის გამძღოლი აღარ — თქვა კლუბის დირექტორმა ლუკა ბარალდიმ — მე უკვე ვუთხარი მოთამაშეებს, რომ ღრიალის და ნერვიულობის დრო ახლა არ არის. პირიქით, ახლა უნდა ჩავფიქრდეთ და გამოსავალი მოვძებნოთ. ეჭვი არ მეპარება, რომ „პარმა“ იმაზე მეტს იმსახურებს, ვიდრე აქვს. ცხრილში მეთვრამეტე ადგილი ჩვენთვის საკადრისი არ არის და ამიტომ მწუხარებას არ უნდა მივეცეთ“.

აღსანიშნავია, რომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბალდინი არ მისულა.

„პრესკონფერენციისთვის თავის არიდების მიზეზი მესმის, მაგრამ არ ვამართლებ. ვადასტურებ, რომ როგორც ადამიანს ბალდინისაც დიდ პატივს ვცემ და ნებისმიერ ფეხბურთელსაც, რომელიც დღეს „პარმაში“ თამაშობს, მაგრამ ახლა ის დროა, როდესაც ყველმ საკუთარ თავს უნდა მოთხოვოს პასუხი“ — ბრძანა დირექტორმა, რომელსაც მიმდინარე პრობლემების გარდა თავდამსხმელის, ალბერტო ჯილარდინოსა და დირექტორის, არიგო საკის შესახებაც ჰკითხეს. ცნობების თანახმად, ჯილარდინო „მილანში“ უნდა გადავიდეს, ხოლო საკი მადრიდის „რეალში“.

„საკის არცთუ დიდი ხნის წინ ვესაუბრე და შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ არსად მიდის, ჩვენთან რჩება. ჯილარდინოზე კი იმას მოგახსენებთ, რომ ივნისამდე უეჭველად „პარმაში“ ითამაშებს. ხაზს ვუსვამ: ხმები იანვარში მისი სხვა გუნდში გადასვლის შესახებ, მცდარია“ — განმარტა ბარალდიმ.

**პაპუნა ძედია**



# მაჩუქეთ მილანი!
## იტალიელებს კრესპოს გამოსყიდვა უნდათ

**„მილანმა“** განაცხადა, რომ ერნან კრესპოსთან დაკავშირებით ოფიციალური წინადადებით მიმართავს „ჩელსის“ — „შავ-წითლებს“ ლონდონელთაგან ნაქირავები არგენტინელი ფორვარდის საბოლოოდ გამოსყიდვა სურთ.

მოგეხსენებათ, კრესპო „ჩელსიმ“ მილანელებს სეზონის ბოლომდე მიაქირავა. არგენტინელი, რომელიც იტალიაში თამაშის წლებში, კერძოდ „პარმაში“, „მილანის“ დღევანდელი თავკაცის კარლო ანჩელოტის ხელმძღვანელობას იყო ნაჩვევი, სერია A-ში თავს მოხერხებულად გრძნობს.

„უკვე ველაპარაკებით „ჩელსის“ წარმომადგენლებს — დაადასტურა თვით „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ — ჩვენ ძალიან გვინდა, რომ კრესპო დარჩეს. დღეისთვის ფეხბურთელი ლონდონური კლუბის კუთვნილებაა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გახდება. იმედს ის გვიძლიერებს, რომ ამ ინგლისურ გუნდთან კარგი ურთიერთობა გვაქვს“.

„სან სიროზე“ კრესპომ უცბად ვერ გამოიდო ფეხა, მაგრამ „შავ-წითლებმა“ აცადეს, პირობები შეუქმნეს და მხოლოდ ბოლო პერიოდში დაიწყო გოლების გატანა.

„ძალიან გამიხარდება „მილანი“ საჩუქარს თუ მიძღვნის და მომავალი სეზონიდან თავის ფეხბურთელად დამამტკიცებს. ინგლისში დაბრუნებას არ ვაპირებ“ — თქვა თავად ფორვარდმა.

**პაპუნა ძედია**

# რეკობა აფეთქდა
## ურუგვაელი მანჩინის სამპდორიაში გაურბის





**ურუგვაელმა** ალვარო რეკობამ აღიარა, რომ „ინტერის“ მწვრთნელთან, რობერტო მანჩინისთან უსიამოვნება მოუვიდა. ამის გამო სეზონის დარჩენილი ნაწილი მან შეიძლება „სამპდორიაში“ გაატაროს.

„ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ერთმანეთს მკვახე სიტყვები გავუცვალეთ და კვირის შეხვედრაში ამის გამო დამტოვა გუნდს გარეთ. საერთოდ არ წამიყვანა თამაშზე. ეს იყო და ეს, მე კი იმის თქმა მინდა, რომ ჩემი მხრივ ყველას თავის წილ პატივს ვცემ, ოღონდ ეს იმას ნიშნავს, რომ თავად აღარ მცენ პატივი“ — თქვა რეკობამ.

მოგეხსენებათ, ამ ორ ადამიანს შორის რომ დაძაბული ურთიერთობებია, დიდი ხანია ლაპარაკობდნენ, მაგრამ ასე კონკრეტულად არასდროს არაფერი თქმულა. ხოლო თუ რატომ „აფეთქდა“ რეკობა შაბათის ვარჯიშზე, ვფიქრობთ, იოლი მისახვედრია, რადგან მიზეზი სტანდარტულია — მიუხედავად იმისა, რომ შუა კვირაში, ჩემპიონთა ლიგაში, „ანდერლეხტის“ წინააღმდეგ ჩინებულად ითამაშა, რეკობამ შეიტყო, რომ მანჩინიმ „სიენასთან“ შეხვედრისთვის მოფიქრებულ შემადგენლობაში არ შეიყვანა.

„სწორად გამიგეთ, მე მოედანზე ვარ თუ არა, ყოველთვის მინდა, რომ „ინტერმა“ მოიგოს. ამასთან, ძალიან კარგად მესმის, რომ მწვრთნელს სრული უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ შეარჩიოს შემადგენლობა, მაგრამ ჩემთვის გაუთავებლად სათადარიგოთა სკამზე ჯდომაც წარმოუდგენლად ძნელია“ — განმარტა ურუგვაელმა, რომელიც ახლა ყველაზე მეტად „სამპდორიასა“ და მისი მწვრთნელისკენ, ვალტერ ნოველინოსკენ მიილტვის. ნოველინო ის კაცია, რომელსაც შემტევი ნახევარმცველის დიდი ხნით კარგად ათამაშება შეუძლია. სწორედ ნოველინოს ხელში გახდა რეკობა ცნობილი. ეს იყო 1999 წელს, როდესაც მან 19 თამაშში 10 გოლი გაიტანა და „ვენეცია“ სერია A-დან უეჭველი გავარდნისგან იხსნა. მას მერე რეკობას საქმე კარგად ველარ წავიდა და იტალიური პრესაც საკმაოდ ხშირად წერს მისი გაუმართლებელი მრავალმილიონიანი კონტრაქტის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ურუგვაელმა განაცხადა:

„აქ, „ინტერში“, მხოლოდ პრეზიდენტ მასიმო მორატის ხათრით ვჩერდები და იმედი მაქვს, რომ მის რწმენას გავამართლებ“.

ვარაუდობენ, რომ „სამპდორიაში“ გადასვლით ალვარო რეკობა ძალიან არგებს გენუის გუნდსაც, რომელიც საკმაოდ მშრალ და ნაკლებგოლიან ფეხბურთს თამაშობს. იმედია, რომ ტრანსფერი ფრიად არგებს თავად ფეხბურთელსაც.

**პაპუნა ძედია**

## არგენტინა

### აპერტურა XIX ტური

ბანფილდი — არგ. ხუნიორსი 0:2; კოლონი — ინსტიტუტო 2:1; როსარიო — ესტუდიანტესი 2:1; ხიმნასია — კილმესი 0:0; სან ლორენსო — რასინგი 4:1; ბოკა ხუნიორსი — ალმაგრო 1:1; ოლიმპო — ლანუსი 2:0; ინდეპენდიენტე — ოლდ ბოიზი 2:0; ველესი — არსენალი 1:1; ურაკანი — რივერ პლეიტი 0:0

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლდ ბოიზი | 19 | 10 | 6 | 3 | 22:11 | 36 |
| ველესი | 19 | 10 | 4 | 5 | 21:16 | 34 |
| რივერ პლეიტი | 19 | 9 | 6 | 4 | 28:19 | 33 |
| ესტუდიანტესი | 19 | 7 | 9 | 3 | 22:14 | 30 |
| სან ლორენსო | 19 | 8 | 6 | 5 | 29:22 | 30 |
| როსარიო | 19 | 8 | 6 | 5 | 19:15 | 30 |
| კოლონი | 19 | 7 | 6 | 6 | 24:22 | 27 |
| ბოკა ხუნიორსი | 19 | 7 | 5 | 7 | 22:16 | 26 |
| ბანფილდი | 19 | 6 | 8 | 5 | 24:22 | 26 |
| რასინგი | 19 | 8 | 2 | 9 | 23:22 | 26 |
| ლანუსი | 19 | 6 | 8 | 5 | 25:26 | 26 |
| ხიმნასია | 19 | 6 | 7 | 6 | 16:23 | 25 |
| არსენალი | 19 | 5 | 9 | 5 | 17:16 | 24 |
| კილმესი | 19 | 6 | 6 | 7 | 14:18 | 24 |
| ინდეპენდიენტე | 19 | 6 | 5 | 8 | 23:26 | 23 |
| არგ. ხუნიორსი | 19 | 6 | 4 | 9 | 17:18 | 22 |
| ალმაგრო | 19 | 4 | 10 | 5 | 15:18 | 22 |
| ოლიმპო | 19 | 4 | 5 | 10 | 21:29 | 17 |
| ინსტიტუტო | 19 | 2 | 8 | 9 | 16:30 | 14 |
| ურაკანი | 19 | 2 | 6 | 11 | 19:34 | 12 |

*„ნიუელს ოლდ ბოიზი“ არგენტინის ჩემპიონია*

## ბრაზილია

### სერია A. XLV ტური

სან კაეტანო — სანტოსი 0:3; ვასკუ და გამა — ატლ. პარანენსე 1:0; სან პაულუ — ფლამენგო 1:1; ბოტაფოგო — კორინთიანსი 1:2; ფიგეირენსე — ჟუვენტუდე 1:0; კურიტიბა — გოიასი 1:0; კრუზეირო — ვიტორია 4:0; პონტე პრეტა — ინტერნასიონალი 1:2; პაისანდუ — გუარანი 4:2; გრემიო — ატლ. მინეირო 0:1; პალმეირასი — კრისიუმა 3:2; პარანა — ფლუმინენსე 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 45 | 26 | 8 | 11 | 101:57 | 86 |
| ატლ. პარანენსე | 45 | 25 | 10 | 10 | 92:55 | 85 |
| სან პაულუ | 45 | 24 | 10 | 11 | 78:41 | 82 |
| პალმეირასი | 45 | 22 | 12 | 11 | 71:46 | 78 |
| კორინთიანსი | 45 | 19 | 14 | 12 | 49:52 | 71 |
| ჟუვენტუდე | 45 | 20 | 10 | 15 | 59:64 | 70 |
| გოიასი | 45 | 20 | 9 | 16 | 79:68 | 69 |
| ფლუმინენსე | 45 | 18 | 12 | 15 | 64:67 | 66 |
| ინტერნასიონალი | 45 | 19 | 7 | 19 | 64:58 | 64 |
| ფიგეირენსე | 45 | 17 | 12 | 16 | 55:54 | 63 |
| პონტე პრეტა | 45 | 18 | 7 | 20 | 41:72 | 61 |
| კურიტიბა | 45 | 15 | 16 | 14 | 50:45 | 61 |
| კრუზეირო | 45 | 16 | 8 | 21 | 67:75 | 56 |
| პარანა | 45 | 15 | 9 | 21 | 51:71 | 54 |
| ვასკუ და გამა | 45 | 14 | 12 | 19 | 63:66 | 54 |
| სან კაეტანო | 45 | 23 | 8 | 14 | 65:46 | 53 |
| პაისანდუ | 45 | 13 | 14 | 18 | 54:75 | 53 |
| ფლამენგო | 45 | 12 | 15 | 18 | 45:51 | 51 |
| ბოტაფოგო | 45 | 11 | 17 | 17 | 61:70 | 50 |
| ატლ. მინეირო | 45 | 11 | 17 | 17 | 57:66 | 50 |
| კრისიუმა | 45 | 13 | 10 | 22 | 58:75 | 49 |
| ვიტორია | 45 | 13 | 9 | 23 | 67:85 | 48 |
| გუარანი | 45 | 10 | 16 | 19 | 41:55 | 46 |
| გრემიო | 45 | 9 | 12 | 24 | 60:78 | 39 |

*„სან კაეტანოს“ დაკლებული აქვს 24 ქულა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაუნინგიც ვნახოთ

## ერიკსონს ტერი საამისთვის არ ემეტება

*ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, სვენ გორან ერიკსონი „მიდლსბროს" გარემარბს სტიუარტ დაუნინგს თებერვალში ჰოლანდიის წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში დებიუტს დაპირდა. გარდა ამისა, ერიკსონმა საგანგებოდ აღნიშნა ჩელსელი ჯონ ტერის ამბავიც. ტერიმ „არსენალთან" (2:2) ფრედ დასრულებულ შეხვედრაში დიდებულად ითამაშა*



სვენ გორან ერიკსონი



ჯონ ტერი



სტიუარტ დაუნინგი

„თუ დაუნინგი ასე განაგრძობს, ვფიქრობ, შანსს უთუოდ დაიმსახურებს, მით უფრო ამხანაგურ შეხვედრაში — ბრძანა შვედმა — თუმცა თამაში, რომელზეც ვლაპარაკობთ, თებერვალშია, ხოლო ჯერ დეკემბერია. ვნახოთ, თებერვალში რა და როგორ იქნება, თუმცა ის, რომ საინტერესო ფეხბურთელია, ფაქტია. ის ძალიან კარგად თამაშობს მარცხენა ფეხით, ცვლის მოვლენებს და მეტოქეების ჩამოშორებაც ეხერხება".

რაც შეეხება „ჩელსისა" და „არსენალის" თამაშს, ერიკსონს ჰკითხეს, ამ შეხვედრაში ჩემპიონი თუ ნახეთო.

„ვფიქრობ, ვნახე, თუმცა დღეს, „მანჩესტერ იუნაიტედის" ჩამოწერა ძალიან სახიფათო საქმეა — მიუგო მწვრთნელმა — თამაშს დავესწარი და მთელი 90 წუთით კმაყოფილი დავრჩი. ტიერი ანრის გოლზე კი იმას მოგახსენებთ, რომ იგი ჭკვიანურად მოიქცა, თუმცა, ბუნებრივია, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მსაჯი და ფრანგი ერთმანეთში რას ლაპარაკობდნენ. ძალიან კარგია, თუ ფეხბურთელს ჩქარა შეუძლია დარტყმა და ბურთის კარში შეგდება, მაგრამ დამცველი მხარე არ უნდა დაიბნეს და ბურთის წინ მანამდე უნდა იდგეს, სანამ მსაჯი არ ეტყვის, გაიწიე, 9-მეტრიან დისტანციას ვაყენებო. ერთი სიტყვით, გოლი მართლაც უცნაური იყო, მაგრამ დიდი შეხვედრა გამოვიდა და ანგარიშსაც უსამართლოს ვერ დავარქმევ".

შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, ერიკსონმა ტერიზე ილაპარაკა. მან თქვა, რომ იმედი აქვს მადრიდის „რეალში" წასული ჯონათან ვუდგეიტის გამოჯანმრთელების, მაგრამ არის ჯონ ტერიც და იგი მწვრთნელს ძალიან ახარებს.

„ინგლისის ნაკრებში ცენტრალური მცველობა ძალიან ძნელია, მაგრამ მე ბედნიერი კაცი ვარ. ხომ სიგიჟეა ტერის სათადარიგოთა სკამზე დატოვება? ჩვენს შემთხვევაში რას იზამ, ასეთია ცხოვრება".

**პაპუნა ძიძია**

### ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისურ** „ბოლტონს" მოსკოვის „დინამოს" თავდამსხმელის, დმიტრი ბულიკინის იჯარის წესით გადაყვანა სურს. „იგი კარგი ფეხბურთელია. მას არენდით ავიყვანთ, შემდგომში გამოსყიდვის პერსპექტივით. ჩვენ ბევრი ფული არ გვაქვს და ახალ მოთამაშეებს მხოლოდ ასე თუ შევიმატებთ" — ამბობს „ბოლტონის" მწვრთნელი სემ ალარდაისი.

**ბოსნიური** „სარაევოს" დირექტორსა და ყოფილ ფეხბურთელ მარზა ვარესანოვიჩს ბოროტმოქმედებმა შვიდი წლის ბიჭი მოსტაცეს. იმავ საღამოს გამტაცებლებმა ვარესანოვიჩს სახლში დაურეკეს და 1 მილიონი ევრო მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვის მოკვლით დაიმუქრნენ. ბოსნიური პოლიცია რა თქმა უნდა, გამოძიებას აწარმოებს. შეგახსენებთ, რომ 32 წლის ვარესანოვიჩი „სარაევოს" გარდა „ბორდოში", „ოლიმპიაკოსსა" და „აუსტრიაში" თამაშობდა.

**რუსული** ცსკა-ს ნახევარმცველ სერგეი სემაკს თვალი ფრანგულმა კლუბებმა — „პარი სენ ჟერმენმა", „მარსელმა", „მონაკომ", „რენმა" და „ნიცამ" დაადგეს. „ჩემი კლიენტი საფრანგეთში გადასვლის წინააღმდეგი არ არის და ვარიანტებსაც განვიხილავთ" — თქვა სემაკის აგენტმა კრისტოფ იუტომ.

**ნორვეგიელი** ფორვარდი სტეფენ ივერსენი შესაძლოა პრემიერლიგას დაუბრუნდეს. „ვოლვერჰემპტონის" ვეტერანი თავდამსხმელის გადაბირება „ნიუკასლის" მწვრთნელ გრემ სუნესს სურს. „ჯორდები" შეეცდებიან, ტრანსფერი იანვარშივე გაჩარხონ, თუმც ივერსენით რომის „ლაციოც" არის სერიოზულად დაინტერესებული. პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო სკანდინაველს მალე შესთავაზებს კონტრაქტს.

**რუსული** „ზენიტი" ახალი სტადიონის აშენებას აპირებს. მშენებლობა 2006 წლის იანვარში დაიწყება და დაახლოებით 2007 წლის აპრილი-მაისისთვის დასრულდება. სანკტპეტერბურგელთა ახალი სარბიელი 50 ათას გულშემატკივარს დაიტევს, პროექტი კი 150 მილიონი დოლარი დაჯდება. თანხას „ზენიტის" ინვესტორი კომპანია „გაზპრომი" გაიღებს.

**საფრანგეთი** შეიძლება ევრო 2012-ის მასპინძლობის მსურველთა შორის აღმოჩნდეს. ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს მომავალში ყველაფერს კარგად გათვლის და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებს. შეგახსენებთ, რომ აქამდე ევრო 2012-ის მასპინძლობის სურვილი საბერძნეთმა, უკრაინა-პოლონეთმა და ხორვატია-უნგრეთმა გამოთქვეს.

**სამხრეთაფრიკელი** თავდამსხმელის, ბენი მაკკარტის გადაბირება რამდენიმე ინგლისურ კლუბს უნდა. ადვილი შესაძლებელია, ტრანსფერი იანვარშივე განხორციელდეს, თუმც არის მეორე ვარიანტიც, მაკკარტიმ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გაგრძელება არჩიოს და „პორტუს" დატოვება სეზონის ბოლომდე არ ისურვოს. გავრცელებული ინფორმაციით მისი შეძენა „ევერტონს", „ბირმინგემი" და „ჩარლტონს" სურთ.

**იტალიურმა** „იუვენტუსმა" კატალონიური „ბარსელონას" საყურადღებოდ, თავისი ნახევარმცველი ალესიო ტაკინარდი შეაფასა — მსურველმა 4 მილიონი გირვანქა გადაგვიხადოს და წაიყვანოსო.

**აფრიკის** 2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელს მომავალი წლის 15 თებერვალს დაასახელებენ. თუმცა ხუთი კანდიდატის ვინაობა უკვე ცნობილია: ემანუელ ადებაიორი (მონაკო), სამუელ ეტოო (ბარსელონა), ჯეი-ჯეი ოკოჩა (ბოლტონი), დიდიე დროგბა (ჩელსი) და ბენი მაკკარტი (პორტუ). ზემოხსენებული ხუთეულიდან სპეციალისტებს ფავორიტის დასახელება უჭირთ.

**გერმანიის** ნაკრებისა და „ვერდერის" ნახევარმცველი ფაბიან ერნსტი მომავალ ზაფხულს გელზენკირხენის „შალკეს" მაისურას მოირგებს. „ვამაყობთ იმით, რომ ფაბიანმა „შალკე" აირჩია. მისი გადაბირება კიდევ არაერთ კლუბს სურდა. დარწმუნებული ვარ, წარმატებული ტრანსფერი განვახორციელეთ" — განაცხადა „შალკეს" მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა.

**ინგლისური** „საუთჰემპტონი" ლონდონური „ჩელსის" რუს ნახევარმცველ ალექსეი სმერტინით დაინტერესდა. „წმინდანთა" ახალი თავკაცი ჰარი რედნაპი სმერტინთან ერთად გასულ სეზონში „პორტსმუთში" მუშაობდა. გამოცდილმა სპეციალისტმა 29 წლის ნახევარმცველს სწორედ იქ დაადგა თვალი და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად აქცია. ბრიტანული პრესის ცნობით, „არისტოკრატებმა" შესაძლოა იანვარში რუსი ფეხბურთელი გაანათხოვრონ.

**იტალიური** „მილანის" მცველ ჯუზეპე პანკაროს ესპანური „ბეტისი" და ინგლისური „მიდლსბრო" ეპატიჟება. პანკაროს წლის ბოლოს „შავწითლებთან" კონტრაქტი უმთავრდება და შესაძლოა, გუნდიც თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვოს. „მსურს, კარიერა „მილანში" დავასრულო, მაგრამ არ ვიცი, კლუბის ხელმძღვანელობას ჩემი დატოვება უნდა თუ, არა" — თქვა 32 წლის პანკარომ.

*ქვემორე ცხრილის დანიშნულება ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ყველაფერი ნათლადაა: სად, როდის, როდიდან, ხოლო თუ ვინმე მაინც იკითხავს, რა შეწყდება და განახლდებაო, ვუპასუხებთ, რომ ლაპარაკი ეროვნულ ჩემპიონატებზეა.*

*საშობაო არდადეგები ჩემპიონატებსაც ეწყებათ, თუმც ზოგი მარტამდეც იუქმებს. აი, ბრიტანელები კი ამ ჩამონათვალში ისევ არ არიან. მიზეზი ძველია: მათ არდადეგებზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ და ფეხბურთს ახალ წელსაც თამაშობენ.*

| ქვეყანა | შეწყდება | განახლდება |
|---|---|---|
| ავსტრია | 8 დეკემბერი | 19 თებერვალი |
| ბელგია | 19 დეკემბერი | 15 იანვარი |
| ბულგარეთი | 28 ნოემბერი | ? თებერვალი |
| ხორვატია | 5 დეკემბერი | 26 თებერვალი |
| ჩეხეთი | 6 დეკემბერი | 26 თებერვალი |
| დანია | 28 ნოემბერი | 13 მარტი |
| ფინეთი | | ახალი სეზონი მაისში დაიწყება |
| საფრანგეთი | 18 დეკემბერი | 12 იანვარი |
| გერმანია | 11 დეკემბერი | 21 იანვარი |
| საბერძნეთი | 29 დეკემბერი | 9 იანვარი |
| უნგრეთი | 28 ნოემბერი | ? მარტი |
| იტალია | 19 დეკემბერი | 6 იანვარი |
| ჰოლანდია | 19 დეკემბერი | 22 იანვარი |
| ნორვეგია | | ახალი სეზონი აპრილში დაიწყება |
| პოლონეთი | 21 ნოემბერი | ? მარტი |
| რუმინეთი | 28 ნოემბერი | 5 მარტი |
| რუსეთი | | ახალი სეზონი მარტში დაიწყება |
| სერბეთი | 5 დეკემბერი | ? თებერვალი |
| სლოვაკეთი | 23 ნოემბერი | 5 მარტი |
| სლოვენია | 4 დეკემბერი | 6 მარტი |
| ესპანეთი | 23 დეკემბერი | 8 იანვარი |
| შვედეთი | | ახალი სეზონი აპრილში დაიწყება |
| შვეიცარია | 18 დეკემბერი | ? მარტი |
| თურქეთი | 19 დეკემბერი | 31 იანვარი |
| უკრაინა | 10 დეკემბერი | ? მარტი |

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ბოისა: მაკაბის საწინააღმდეგო ჯავი



ყოველგვარი შესავლის გარეშე ვლადიმერ ბოისაზე ვიწყებთ წერას, ფორვარდზე, რომელიც გასულ კვირაში ჩატარებული ორი ბრწყინვალე მატჩის გამო არა მარტო ამ, არამედ ევროპის სხვა სპორტული გამოცემების ფურცლებზეც უთუოდ დაიმსახურებდა ცალკე სტატიას თუ არა, ქებას მაინც.

ოლიმპიელთა ფორვარდმა გასულ ხუთშაბათს ევროპის საუკეთესო გუნდი, ბობოქარი და მანამდე უძლეველი „მაკაბი“ რომ ბეჭებზე გააკრა, ევროკავშირის მივარდნილ პროვინციებშიც შეიტყობდნენ. ბოისა ამას არ დასჯერდა და შაბათს ადრიატიკის ლიგაში ჩატარებულ, ოღონდ წაგებულ მატჩში ხორვატიულ „ზადარს“ 14 ქულა ჩაუგდო და ზედ 13 მოხსნაც დააყოლა. მოგება და წაგება ხომ ძმები არიან — ჰოდა, ვოვას ორმაგ დუბლს დიდად არ აკნინებს „ოლიმპიას“ მარცხი. ისედაც ხომ ცხადია და უკვე მერამდენედ დადასტურდა, რომ ბოისა არა მარტო ლიუბლიანურ გუნდში, არამედ მთელს ბებერ კონტინენტზე ანგარიშგასაწევ მობურთლად ითვლება.

ვოვას ამ სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და მასზე ევროპის წამყვანი კლუბები ალბათ ტაციაობას გააჩაღებენ, მანამდე კი ბოისა ცდილობს, „ოლიმპიას“ საკუთარი ხელი დაატყოს. „მაკაბის“ ძლევა ლიუბლიანელებს ევროლიგის ჯგუფიდან გასვლას გაუადვილებთ. ხუმრობა ხომ არ არის, ევროლიგის ჩემპიონის დაჩოქება. თელავიველებს ახლა არანაკლებ ძლიერი გუნდი ჰყავთ, ვიდრე წინა ტურნირში და რომ ჰკითხო, გაისად მოსკოვშიც აპირებენ ოთხთა ფინალის მოგებას.

გასულ კვირას აი, ასეთ გუნდს ჩაუგდო ბოისამ 28 ქულა და მასზე გაგიჟებულ ლიუბლიანელ ფანებს კიდევ უფრო შეაყვარა თავი. ებრაელების დამარცხება ისეთი ღირებული ამბავი იყო, რომელიც „ზადართან“ მარცხს ამართლებს. მით უმეტეს, ევროლიგისგან განსხვავებით, „ოლიმპია“ „ადრიატიკულის“ ლიდერია და მაკაბელებთან გადატანილი ომის შემდეგ „ზადართან“ თავს დასვენების უფლება მისცა. ბოისამაც დაისვენა და თან ორმაგი დუბლი შეასრულა...

სადაც ბოისა, იქ მანუჩარ მარკოიშვილიც, რომელიც სათამაშო დროის ნაკლებობას აღარ განიცდის, მაგრამ... მანომ 23 წუთი იბურთავა „ზადართან“ წაგებულ მატჩში და ქულის რა მოგახსენოთ, ერთ მოხსნაზე მეტიც ვერ გააჩერხა.

სლოვენიაშივე მობურთალ დავით უგრეხელიძეს კი ენამ უყივლა: მან ხუთშაბათს „სარბიელთან“ ინტერვიუში განაცხადა, „პივოვარნამ“ ადრიატიკის ლიგაში საკუთარი რეკორდი დაამყარა, ბოლო რვა შეხვედრაში არ დავმარცხებულვართო. ჰოდა, „მელუდეთა“ ნავარდიც ბელგრადში დასრულდა, სადაც „ცრვენა ზვეზდამ“ ლაშკოელები 89:65 შემუსრა. უგრეხელიძემ მოეთხედნახევარი ითამაშა და სამი ქულის შეკოწიწება შეძლო.

სანამ დასავლეთ ევროპისკენ გავიხედავთ, აღმოსავლეთისკენ მოვბრუნდეთ და რუსეთის სუპერლი[illegible] [illegible], [illegible] ნდა სისხლის ქართველი აღარავინაა. გიორგი ცინცაძე ისევ სამარელთა დუბლებშია, ხოლო „გაქართველებული“ შემონდ უილიამსი ძველებური შემართებით დაქრის. მისმა „უნიკსმა“ გასულ კვირაში ორივე მატჩი მოიგო, თუმც ერთი, მაკედონიაში „რაბოტნიჩკისთან“ ჩატარებული, უუილიამსოდ.

ახლა კი ფრანგული ამბები, საიდანაც გამოსარჩევია სერგო ათუაშვილის შალონური დებიუტი. დიდი არაფერი, ქართველი გოლიათი მხოლოდ სამი წუთით გაიყვანეს მოედანზე, მაგრამ ფაქტის დასაფიქსირებლად, რომ ათუაშვილი საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში გამოჩნდა, ესეც საკმარისია.

223-სანტიმეტრიანმა ქართველმა ვერაფერი დააკლო „ტულონს“ და სამი წუთის განმავლობაში სტატისტიკური მაჩვენებლის ვერც ერთი ნიშნული ნულიდან ვერ დაძრა. მას ალბათ იმიტომ ენდნენ, რომ „შალონს“ გადაბუგული ჰყავდა „ტულონი“ და საბოლოოდ 90:54 გააცამტვერა.

შალონის მეზობელ ქალაქ დიჟონში მობურთალმა ვიქტორ სანიკიძემ კი ორი ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებული მატჩი ჩაატარა. ჯერ იყო და ფიბა-ევროლიგაში ბერძნულ „პერისტერის“ სტუმრად 12 ქულა და 6 მოხსნა აჯახა 22 წუთში. ამ შაბათს კი „ჟიკას“ მხოლოდ 6 წუთით ენდნენ, ალბათ, მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე. აუტსაიდერი „დიჟონი“ ბობოლა „ვილერბანს“ სტუმრად ეთამაშებოდა და ისეთი შეუპოვრობა გამოავლინა, საბოლოოდ იმარჯვა კიდეც.

ნბა-ში კი სისტემატიურად მხოლოდ ზაზა ფაჩულიას ათამაშებენ, მაგრამ მის სახუთეულო კნებებს ჯერჯერობით ეშხი მოაკლდა. მიზეზი ის კი არ გახლავთ, რომ ზაზა თამაშობს ცუდად — ქართველი ცენტრი არცთუ ურიგოდ გამოიყურება — მაგრამ მისი კონკურენტი დან გაძურიჩი მოსულა იმტაზე და ყოველ მატჩში თავის წილ ქულა-მოხსნას აკეთებს.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ზადარი | შ | 70:77 | 40 | 14 | 12 | 1 | 1 |
| | | ევროლიგა | მაკაბი | შ | 93:81 | 39 | 28 | 4 | 1 | 1 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ზადარი | შ | 70:77 | 23 | 0 | 1 | 0 | 0 |
| | | ევროლიგა | მაკაბი | შ | 93:81 | 7 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ცრვენა ზვეზდა | ს | 65:89 | 16 | 3 | 2 | 0 | 2 |
| | | ულების თასი | ხუვენტუდი | შ | 79:88 | 11 | 7 | 4 | 0 | 2 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | სუპერლიგა (რუს.) | ურალ გრეიტი | შ | 80:75 | 34 | 10 | 3 | 7 | 2 |
| | | ფიბა-ევროლიგა | რაბოტნიჩკი | ს | 99:95 | არ უთამაშია | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A საფრანგეთი | ვილერბანი | ს | 83:79 | 6 | 0 | 1 | 2 | 0 |
| | | ფიბა-ევროლიგა | პერისტერი | ს | 90:92 | 22 | 12 | 6 | 2 | 1 |
| სერგო ათუაშვილი | შალონი | RRO A საფრანგეთი | ტულონი | შ | 90:54 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B საფრანგეთი | ივრუ | შ | 73:75 | არ უთამაშია | | | | |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | ინდიანა | ს | 89:86 | 9 | 0 | 3 | 0 | 0 |
| | | | მაიამი | შ | 96:101 | 27 | 8 | 13 | 2 | 1 |
| | | | ინდიანა | შ | 95:86 | 23 | 5 | 8 | 1 | 3 |
| | | | ფილადელფია | ს | 101:107 | 4 | 1 | 1 | 0 | 1 |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | ვაშინგტონი | ს | 111:105 | არ უთამაშია | | | | |
| | | | ტორონტო | ს | 101:87 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

ძიუდო

# იავარამ რა ჰქმნა

## ევროპამ პრეზიდენტი უთასოდ დატოვა



ილიას ილიადისმა იგივე ჯარჯი ზვიადაურმა რუსთა ძლევაში თავისი წვლილი შეიტანა

ევროპის ჩემპიონის, სანქტპეტერბურგული „იავარა ნევას“ უძლეველობის მითი მომავალი წლიდან ახალმა ქართულმა კლუბმა „საგარეჯომ“ უნდა დაანგრიოს, თუმც რუსეთის პრეზიდენტის საამაყო გუნდმა ამ დღეებში უკვე წაიფორხილა და ამაში ერთმა მომავალმა საგარეჯოელმაც დაიდო წილი.

მოსკოვის გარეუბან პოდოლსკში ტრადიციული „პრეზიდენტის თასი“ ჩაჭიდავდა და ტატამზე ილიას ილიადისი, ჩვენებურად ჯარჯი ზვიადაურიც გავიდა.

თბილისური დასვენებისა და მშობლიურ პლეხანოვის დარბაზში გურამ მოდებაძესთან ვარჯიშის შემდეგ ჯარჯი პირდაპირ რუსეთში ჩავიდა და პუტინის „იავარა ნევას“ მამამარჩენალის თასის რუსეთში დატოვებაში ხელი შეუშალა.

„პრეზიდენტის თასს“ რუსები 2000 წლიდან ათამაშებენ. წინა ოთხი ტურნირიდან მასპინძელთა იმედმა „იავარა ნევამ“ ორჯერ იმარჯვა (2000 და 2002 წლებში), ორჯერ კი მას იაპონიის ნაკრებმა აჯობა (2001 და 2003).

ამჯერად ორგანიზატორებმა ევროპის ნაკრები გამოიწვიეს, რომელიც წესით საუკეთესო ევროპელი ძიუდოისტებით უნდა შევსებულიყო, თუმც მიზეზთა გამო რამდენიმე წონაში შედარებით მოკრძალებულშედეგიანი სპორტსმენები მოხვდნენ.

ევროპის უძლიერესი კლუბის დასამარცხებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა — სტუმრებმა მასპინძლებს 3:2 აჯობეს.

ჯარჯიმ რუსთა ბელარუს ლეგიონერს სერგეი შუნდიკოვს ხუთ წუთში იუკოთი სძლია და საერთო ანგარიში 1:1 გახადა. მანამდე ორი ბრძოლა ფრედ დასრულდა და შესაბამისად, ქულებიც არც ერთ გუნდს არ შემატა. დაზავდნენ ევგენი სტანევი — კრეიგ ფელონი (60კგ. ბრიტანეთი) და ანატოლი ლარიუკოვი — კლაუდიუ ბასტეა (73 კგ. რუმინეთი). 66 კილოგრამში კი დაღესტნელმა მაგომედ ჯაფაროვმა ათენის ბრინჯაოსანი სლოვაკი იოზეფ კრაჩი დაიპყრა.

ილიადისის გამარჯვებას თავისი წილი ქულა ჰოლანდიელმა მარკ ჰუიზინგამაც (90კგ) მიამატა. სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურისგან ათენში დაიპონებული ხასამბი ტაოვი წამოაქცია.

თასის ბედი 100 კილოგრამში, ასხატ ჟიტკეევისა და იტალიელი მიკელე მონტის დაპირისპირებაში გადაწყდა. შვიდი წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონატში აღებული ბრინჯაოთი „თავმომწონე“ იტალიელმა აზიის ჩემპიონს ქულებით აჯობა, საერთო ანგარიში 3:1 გახადა და პუტინის ჯილდ მძიმეწონოსან ტამერლან ტმენოვს პრესტიჟის ქულის შანსიდა დაუტოვა. ტმენოვმა ათენის ბრინჯაოსან ესტონელს ინდრეკ პერტელსონს სძლია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



დენვერელმა მელო ენტონიმ „მედისონ სკვერ გარდენში“ ბევრი იფრინა, მაგრამ „ნიუ იორკს“ ვერ გადააფრინდა

# წაგებასაც ცოდნა უნდა — ისწავლეთ მილუოკისგან

— 12 დეკემბერი —

**ფილადელფია 107:101 მილუოკი**

ფილადელფია: აივერსონი (40 ქულა, 10 პასი), იგუდალა (4), კორვერი (7), ტომასი (20 ქულა, 17 მოხსნა), დალემბერტი (6); ჯექსონი (28), საიმონსი (2), მაკკი

მილუოკი: უილიამსი (6), რედი (28), მეისონი (21), სმიტი (15), გაძურიჩი (10 ქულა, 13 მოხსნა); ჯეიმსი (11), გილი (7), ჰამილტონი (2), ფაჩულია (4 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა)

**ნიუ იორკი 107:96 დენვერი**

ნიუ იორკი: კროუფორდი (31), მარბერი (25 ქულა, 11 პასი), ტომასი (10 ქულა, 18 მოხსნა)

დენვერი: ენტონი (26), კემბი (21 ქულა, 14 მოხსნა), მარტინი (18)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**პორტლენდი 98:88 იუტა**

პორტლენდი: რენდოლფი (23), სტუდემაიერი (15), ანდერსონი (15)

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

იუტა: ბელი (21), ჰარპრინგი (19), ოქური (15 ქულა, 12 მოხსნა)

**ვაშინგტონი 88:69 ნიუ ორლეანი**

ვაშინგტონი: ჰეივუდი (17), ჯემისონი (17), არენასი (16)

ნიუ ორლეანი: დიკაუ (14), ჰარინგტონი (14)

**ლეიკერსი 105:98 ორლანდო**

ლეიკერსი: მიმი (25 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსი (25), ბრაიანტი (23)

ორლანდო: ფრენსისი (27 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა), ჰილი (16)

**გოლდენ სტეიტი 99:87 შარლოტი**

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (24), რობინსონი (21), კლაქსტონი (18), მერფი (17)

შარლოტი: ოკაფორი (21 ქულა, 13 მოხსნა), კაპონო (17)

**ტორონტო 98:106 მაიამი**

ტორონტო: როუზი (25), ალსტონი (19), პიტერსონი (17)

მაიამი: ვეიდი (20), ონილი (20), ჰეისლიმი (17), დ. ჯონსი (16)

ვერა და ვერ დალაგდნენ მილუოკელები. თითქოს ყველა შემხვედრს თავს აკლავენ და ბოლომდე ტოლ-სწორად ეომებიან, მაგრამ ნამატჩევს მარცხის სიმწარეს უფრო გრძნობენ, ვიდრე გამარჯვების სიტკბოს.

2001 წლის ვიცე-ჩემპიონი „ფილადელფია სიქსერზი“ თავის ლიდერ ალენ აივერსონიანად იმ ვიცეჩემპიონობის შემდეგ ინერციით თამაშობს და შარშანაც და წლეულსაც უფრო აგებს, ვიდრე იგებს. მაგრამ მანაც და მისმა თანაგუნდელებმაც მაინცდამაინც „მილუოკისთან“ გამოიდეს თავი. ჭინკა აივერსონმა სეზონში უმეტესი, 40 ქულა მოიხვეჭა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთი ბოლო წუთებშიც ჩააგდო და სტუმრებს 48-წუთიანი შრომა წყალში ჩაუყარა. სეზონში სარეკორდოდ ბევრი ქულა გაჩარხა სათადარიგოდ გამწესებულმა ცენტრმა მარკ ჯექსონმაც.

„ეს უდიდესი იმედგაცრუებაა — ამბობს „ბაქსის“ მთავარმწვრთნელი მაიკლ რედი — ჩვენ არც ერთი თამაში არ წაგვიგია პირწმინდად, ყველაში ბოლომდე ვიბრძვით და მაინც ვმარცხდებით, გაუთავებლად ვმარცხდებით.“

რაც შეეხება ჩვენებურ ზაზა ფაჩულიას, მან „ფილადელფიასთან“ არცთუ დიდი ხნით ითამაშა და ვერც ქულა-მოხსნები იხვეჭა. სამაგიეროდ, მისმა კონკურენტ დან გაძურიჩს 10 ქულა და 13 მოხსნა დაუგროვა.

საერთოდ არ უთამაშია მეორე ქართველ ნიკა ცქიტიშვილს, რომელიც სათამაშო დროში გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე ფაჩულია. ცქიტიშვილი „ნაგიტსში“ მე-11-12 კაცია და სკამზე მისი ჯდომა არცაა გასაკვირი. მისიანებმა კი უმისოდ წააგეს ნიუ იორკში, „მედისონ სკვერ გარდენში“ ამ არენის ძირძველ მკვიდრ „ნიქსთან“ და წაუგებელი, ოთხმოგებიანი ჯაჭვი გაწყვიტეს. მასპინძლებს ულიდერა „ჩიკაგოდან“ გამოტაცებულმა ნიჭიერმა ჯეელმა ჯამალ კროუფორდმა, ვის წილადაც „დენვერის“ კალათში სამ ათეულ ქულაზე მეტი მოდის. კროუფორდმა „ნაგიტსს“ მესამე მეოთხედში 17 ქულა უმარჯვა და მეოთხეში მატჩის გამარჯვებამდე სულ იოლად მიყვანის შემდეგ ასაკის შესაფერისი ბაქიბუქი ატეხა — თავი ჩემს უკანა ეზოში მეგონა, თითქოს წინ არავინ მედგა და ყველა სროლის ჩაგდება შემეძლოო.

ტორონტოში იმარჯვა შაკილ ონილის „მაიამიმ“ და ეს არც ვინმეს გაჰკვირვებია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მეოთხედის შემდეგ სოლიდური სხვაობით აგებდა. უვინსკარტეროდ დარჩენილი „ტორონტო“ განუკითხავად აგებს და სეზონის ჩინებულად დაწყების შემდეგ, აგერ, ზედიზედ მეშვიდე მარცხმა ატლანტიკის დივიზიონში სულ ფსკერზე დალექა.

კიდევ უარესად აქვს საქმე დივიზიონებში გუნდების ხელახალი გადანაწილების შემდეგ დასავლეთში მოხვედრილ „ნიუ ორლეან ჰორნეთსს“, რომელსაც მართლა ალარავინ შერჩა ხეირიანი და ყოველ თამაშშიც წაგება გამოწერილი აქვს. ჯამალ მაშბურნს ტრავმამ სეზონის დაწყებამდე დაანებებინა თავი კალათბურთისთვის, შუა სეზონში დაიმტვრნენ ოლსტარელები — ბაირონ დევისი და ჯამაალ მალუა, ხოლო გამოცდილი გამთამაშებელი დარელ არმსტრონგი გუნდის შეფებმა — „იყოჩალეს“ და — „დალასში“ გაცვალეს. შედეგიც ცხრილშია — ზედიზედ ბოლო ათი წაგება და სეზონში ერთადერთი გამარჯვება.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ იორკი | 10 | 10 | 50,0 |
| ბოსტონი | 8 | 11 | 42,1 |
| ფილადელფია | 8 | 12 | 40,0 |
| ნიუ ჯერსი | 7 | 13 | 35,0 |
| ტორონტო | 7 | 16 | 30,4 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 12 | 8 | 60,0 |
| ინდიანა | 10 | 10 | 50,0 |
| დეტროიტი | 10 | 10 | 50,0 |
| მილუოკი | 6 | 12 | 33,3 |
| ჩიკაგო | 4 | 16 | 22,2 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 15 | 7 | 68,2 |
| ვაშინგტონი | 12 | 6 | 66,7 |
| ორლანდო | 13 | 7 | 65,0 |
| შარლოტი | 4 | 14 | 22,2 |
| ატლანტა | 4 | 16 | 20,0 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 17 | 5 | 77,3 |
| დალასი | 14 | 8 | 63,6 |
| ჰიუსტონი | 9 | 12 | 42,9 |
| მემფისი | 9 | 13 | 40,9 |
| ნიუ ორლეანი | 1 | 18 | 5,3 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 17 | 4 | 81,0 |
| მინესოტა | 13 | 7 | 65,0 |
| დენვერი | 12 | 8 | 60,0 |
| პორტლენდი | 10 | 9 | 52,6 |
| იუტა | 9 | 12 | 42,9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 17 | 3 | 85,0 |
| საკრამენტო | 14 | 6 | 70,0 |
| ლეიკერსი | 12 | 8 | 60,0 |
| კლიპერსი | 11 | 8 | 57,9 |
| გოლდენ სტეიტი | 6 | 14 | 30,0 |



# თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი

## პროფკავშირი ბეტმენს ყველაფერს უთმობს



გერი ბეტმენი

ლოკაუტთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი და ამ დღეებისის განმავლობაში არც გადაწყდება. ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა გარკვეული ვადა მოითხოვა, რათა საბოლოო დასკვნა გამოიტანოს იმ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც მას პროფკავშირმა წარუდგინა.

თუმც, პესიმიზმის საბაბი ალბათ მაინც არ არსებობს. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ნჰლ-ში სრული ქაოსი სუფევდა, ახლა კი ლიგის მამებს წინ 236-ფურცლიანი დოკუმენტი უდევთ. თანაც ზოგი ექსპერტის და ჰოკეისტის აზრით, ეს შეთავაზება სავსებით მისაღები უნდა იყოს ლიგისთვის.

თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ მოთამაშეთა ასოციაცია სეზონის გადარჩენის მიზნით უპრეცედენტო ზომებს სთავაზობს ლიგას. ნჰლპა ხელფასების 24 პროცენტიან დაკლებაზეა ყაბულს, იმ დროს, როცა სექტემბერში 5 პროცენტზე იყო ლაპარაკი. ეს მართლაც რომ სენსაციაა. მაგალითად, პროფკავშირის ერთ-ერთმა წევრმა, ცნობილმა ჰოკეისტმა ბილ გერინმა პირდაპირ განაცხადა, რომ ის კოლეგების ამ წინადადებამ შოკში ჩააგდო — ისინი ხომ ამხელა ფულს დაკარგავენ.

გარდა ამისა, ნჰლპა-ს პროექტში კიდევ რამდენიმე სერიოზული დათმობაა, დაწყებული „ფუფუნების გადასახადით“ და დასრულებული ახალბედების ხელფასების შემცირებით. ამაზე „სარბიელი“ უკვე წერდა და უბრალოდ დავაზუსტებთ იმ ციფრებს, რომლებსაც პროფკავშირი სთავაზობს. მაგალითად, „ფუფუნების გადასახადი“ 20 პროცენტიდან 75 პროცენტამდე მერყეობს, გამომდინარე გუნდის ბიუჯეტის შესაძლებლობიდან. ახალბედების მაქსიმალური ხელფასები კი 1,2 მილიონი დოლარიდან 850 ათასამდე შემცირდება. საერთო ჯამში მომდევნო 6 წლის განმავლობაში ლიგა 1 მილიარდი დოლარის ეკონომიას მიიღებს!

მიუხედავად ყოველივე ამისა, ეს მაინც არ არის ის, რასაც ბეტმენი და მისი გუნდი ითხოვდა, ანუ ხელფასების ზღვარი, ამიტომ ჯერ ვერავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ პროფკავშირის პროექტზე ნჰლ-ს მამები უმალ დათანხმდებიან. ასეა თუ ისე, ამ დღეებშიდეც ბეტმენმა რაღაც პასუხი მაინც უნდა გასცეს, შემდეგ კი, სპეციალისტთა ვარაუდით, ალბათ, დიდი ვაჭრობა დაიწყება იმ პროცენტებსა და ციფრებზე, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

**სამველ ლარიბიანი**

# ფორსბერგი პოდიუმზე

**მსოფლიოს** ჰოკეის სუპერვარსკვლავი პეტერ ფორსბერგი სრულიად ახალ ამპლუაში გამოსცდის თავს — იგი პოდიუმზე გავა და ახალი ფეხსაცმელების კოლექციას წარადგენს. ეს სტოკჰოლმში მოხდება. გარდა ამისა, ჰოკეისტს ხალხი დიდ პლაკატებზე სუპერმოდურ ფეხსაცმელში, ჯინსებსა და ტყავის ქურთუკში გამოწყობილსაც იხილავს.

შვედური ფირმის კომერციული დირექტორი და ამ იდეის ავტორი იოახიმ ჰოლმსტრანდი ამბობს, რომ ფორსბერგის მიწვევა ამ საშობაო კომპანიაში ბრწყინვალე სარეკლამო ნაბიჯია, რადგან შვედი ქალებისთვის იგი ნამდვილი საშობაო ოცნებაა.

„ეს პროფესია ჩემთვის ახალი და ძალიან საინტერესოა. ნეტავ, რას იტყვის ხალხი, ჩაფხუტისა და სვიტრის გარეშე რომ მნახავს?!“ — განაცხადა ახალგამომცხვარმა მოდელმა.







**ლენოქს ლუისმა** უცქირა ვიტალი კლიჩკო — დენი უილიამსის ორთაბრძოლას და თქვა, რომ შიშობს უილიამსის სიცოცხლის გამო.

# ლენოქსის აზრი: ეს დაბალი ლიგაა

მსოფლიოს ყოფილმა უდავო ჩემპიონმა, რომლის „მენდელი ბეი ჰოტელში“ საჩემპიონო კრივობას ესწრებოდა თქვა — „კლიჩკო საუცხოო იყო. დენი კი შეიძლებოდა მომკვდარიყო. სხვაობა კლასში იმხელა იყო, რომ ამგვარი საჩემპიონო ბრძოლის გამართვა არ შეიძლებოდა.

ამ ბრძოლას რომ ვუყურებდი, შიგნიდან რაღაც მექაჩებოდა. სულ რაღაც ცხრა თვის წინ რინგზე ვიდექი და ახლა შემეძლო მხარზე ხელი დამეკრა და მეთქვა: დენი, ამ ჯეელს ასე უნდა ეჩხუბო.

ხომ ვამბობ, რინგზე აჭრომა მინდოდა. მე რაც წავედი, ბ კლასის მოკრივეები ა კლასისანი შეიქნენ. კრის ბერდი და ჰასიმ რაჰმანი ჩემპიონები გახდნენ. ამათ შეუძლიათ კლიჩკოს ღირსეულად შეეჯახონ, მაგრამ მისი მომგები მაღალი და ღონიერი ბიჭი უნდა იყოს. ვინ? არ ვიცი.

ახლა კლიჩკოს მე ვჭირდები. უფრო მას ვჭირდები, ვიდრე მე მჭირდება. მისი ბრძოლები ბევრ კითხვას ვერ სცემს პასუხს. ალალად რომ ვთქვა, უილიამსის ძლევით, ახალი არაფერი უთქვამს. მთელი ცხოვრება თავისზე დაბლებს და ხელმოკლეებს უგებს.

აბა, იფიქრეთ, კლიჩკო ღონიერია? არა. ის საშიშია? არა.

კლიჩკო რომ ნამდვილი და უძლეველი ჩემპიონი იყოს, პირველ რაუნდშივე გააჩერებდა დენის.

თავად უილიამსი კი მძიმე ნაგვემობის მიუხედავად, რინგიდან წასვლას არც აპირებს: „კი, წარბიც გამისკდა და ტვინის შერყევაც მაქვს, მაგრამ, რა? უბრალოდ იმედგაცრუებული ვარ, რომ ბრძოლა ასე წარიმართა. მის ტაქტიკას ვერ მოვერგე“ რვა რაუნდში ვიტალი კლიჩკომ ოთხჯერ ჩააგდო ნოკდაუნში უილიამსი, თვითონ კი ერთი ხეირიანიც არ მოხვედრია.

# ფიგურული ფიგურა

ფოტოკამერების წინ მოტიტვლებულ სპორტსმენ ქალთა ლიანგს რუსი ფიგურულად მოსრიალე ტატიანა ნავკაც შეუერთდა. მისი ეს ჯიგრის ამმღვრევი და ამვიაგრებელი ფოტოები პირველად სახურუშო ჟურნალ „მაქსიმის“ დეკემბრის ნომერში გამოიფინა, მერე კი მსოფლიო ქსელშიც გავრცელდა და ჩვენამდეც მოაღწია. რაკილა ნავკას ფიგურამ ჩვენში ჰალალ და დაუოკებელ ემოციათა ამოფრქვევა გამოიწვია, გადავწყვიტეთ, მისი მადლიანი სხეულის ხილვით მადლიერი მკითხველიც გაგვეხალისებინა. ვინძლო, ნაამფოტოვებს ცხოვრებას უფრო იმედიანი მზერით შეხედოთ.







## ევროპის VI ჩემპიონატი. ქალები
### უნგრეთი. 9–19 დეკემბერი

# დეკემბერი ხელბურთის თვეა

**უნგრეთი** ქალ ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. 16 ნაკრები ოთხ ჯგუფში განაწილდა. პირველი ეტაპი უდანაკარგოდ მხოლოდ კონტინენტის ექსჩემპიონმა ნორვეგიამ და უნგრეთმა გაიარეს და სლოვენიელებთან ერთად ოთხ-ოთხი ოქროს ქულით აგრძელებენ ბრძოლას მეორე, ასევე წრიულ ეტაპზე.



ყველაზე შედეგიანი შეტევის ხაზი უნგრელებს ჰყავთ

| პირველი ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 2 | 0 | 0 | 67:56 | 4 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 53:49 | 4 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | 69:60 | 2 |
| უკრაინა | 1 | 0 | 1 | 52:54 | 2 |
| ესპანეთი | 0 | 0 | 2 | 52:54 | 0 |
| სერბეთი | 0 | 0 | 2 | 55:75 | 0 |

| მეორე ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 66:52 | 4 |
| ავსტრია | 1 | 0 | 1 | 65:63 | 2 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 51:49 | 2 |
| გერმანია | 1 | 0 | 1 | 50:51 | 2 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 49:50 | 2 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 2 | 52:68 | 0 |

ჯერჯერობით თითქოს ყველაფერი რიგზეა და ფავორიტთაგან არავინ გამოკლებია საპრიზო გაჯიბრებას, თუმც ერთი სენსაცია მაინც უკვე მოხდა — ოლიმპიური ჩემპიონი დანია ისე რა ძალის რუმინეთთან დამარცხდა — 24:25.

ყველაზე შედეგიანად „ხმაურობენ“ მასპინძელი ქალები, სამ მატჩში მეტოქეებს შესაბამისად 32, 34, 32 გოლი გაუტანეს.

ამასობაში, საზამთრო შესვენების წინ ჩემპიონთა ლიგის პირველი საპლეიოფო რაუნდი გამართეს კაცებმა. რვიდან ოთხ წყვილში მეტოქეებმა სწორედ, რომ დაჭამეს ერთმანეთი. ყველაზე მწარედ ესპანური კლუბები — „ბარსელონა“ და „პორტლენდ სან ანტონიო“ შეიბნენ. თანაბარსხვაობიანი მოგებების შემდეგ წინწასულის ვინაობა სტუმრად მეტი გატანილი გოლის ხარჯზე გაირკვა.

გაუჭირდა ლიგის შარშანდელ ჩემპიონ „მონპელიეს“. დანიაში „კოლდინგთან“ ცხრაგოლიანი მარცხის შემდეგ სასურველი ანგარიშის რევანში თითქოს არარეალური ჩანდა, მაგრამ ფრანგებმა სასწაული მოახდინეს, ნიკოლა კარაბატიჩმა და მისმა მეგობრებმა შინ თერთმეტბურთიანი სხვაობით იმარჯვეს.

## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები
### მერვედფინალი

მონპელიე (საფრანგეთი) 29:38; 36:25 კოლდინგი (დანია)
პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 23:23; 21:20 პიკ სეგედი (უნგრეთი)
კილი (გერმანია) 38:32; 41:25 ტატრანი (სლოვაკეთი)
ფოტექსი (უნგრეთი) 28:29; 39:29 ZTR (უკრაინა)
ლემგო (გერმანია) 45:32; 22:23 ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)
ფლენსბურგი (გერმანია) 30:34; 31:26 სავეჰოფი (შვედეთი)
სიუდად რეალი (ესპანეთი) 45:29; 34:31 გოგ გუდმე (დანია)
ბარსელონა (ესპანეთი) 28:22; 24:30 პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)



ნიკოლა კარაბატიჩის „მონპელიე“ ძლივს გავიდა მეოთხედფინალში

გასულ კვირას ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მინდორზე ფინალისტის ვინაობას წლევანდელი სარაგბო ჩემპიონატის ორი ლიდერი — „ლელო“ და „აკადემია“ არკვევდა. ეს გუნდები მანამდე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი თამაში ფრედ დასრულდა, მეორე კი „ლელომ“ მოიგო. არაოფიციალურად „წინასწან ფინალად“ მონათლულ შეხვედრაში „აკადემიამ“ იმარჯვა და ფინალის საგზურიც მოიპოვა. რაც შეეხება „ლელოს“, იგი 16 დეკემბერს „ბათუმის დათვებს“ შეერკინება და მეორე ფინალისტის ვინაობაც მაშინ გაცხადდება.

განვლილი ჩემპიონატის პერიპეტიებზე და ფინალის სამზადისზე „აკადემიას“ მთავარი მწვრთნელი პაატა ნარიმანაშვილი გვესაუბრება



# ხერხიც, ღონეც

## ნარიმანაშვილმა აკადემია შერკინებაში დააყენა

— მთელი სეზონის განმავლობაში ჩვენი ძირითადი მიზანი ფინალში მოხვედრა იყო. ახლა კონკრეტულად კონცენტრაცია შერკინების მოთამაშეებზე გავაკეთეთ, რადგან აქამდე „ლელო“ შერკინებით გვჯაბნიდა. ძალები არ დავიშურეთ იმისათვის, რომ ეს სისუსტე აღმოგვეფხვრა. გამართლდა კიდეც ჩვენი ვარაუდები, თუმცა, სამწუხაროდ, ხაზის მოთამაშეებმა დავალება ვერ შეასრულეს. ვფიქრობ, ფინალში ამ მხარესაც დავხვეწთ.

— რომელ მოთამაშეებზე ამყარებთ იმედს?

— ურჯუკაშვილი, მაჩხანელი, კიკნაძე, ბოლღაშვილი, კაპანაძე, გამოცდილი მოთამაშეები არიან და ვფიქრობ არ გაგვიცრუებენ იმედებს.

— რაიმეს შეცვლას ხომ არ გეგმავთ, ანუ ფინალში „აკადემიისგან“ რაიმე სიურპრიზებს ხომ არ უნდა ველოდოთ?

— სიურპრიზებს არა, თუმცა თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას კი ვგეგმავთ. დაძაბულობა უფრო ხალისიანი ბურთაობით შეიცვლება.

— რამდენჯერმე ახსენეთ შეცდომები, კონკრეტულად ვინმეს გულისხმობთ?...

— რაკი ჩვენმა მოთამაშეებმა დაცვაში აგრესიული თამაში შეძლეს, იმედი ჩაგვესახა, რომ შეტევაში ნახევარფინალის შეცდომებს აღარ გავიმეორებთ. დაკონკრეტებაზე კი თავს შევიკავებ, თუმც აღვნიშნავ, რომ ხაზის მოთამაშეები სუსტად გამოიყურებოდნენ.

— რომელი მეტოქე უფრო გაძლევთ ხელს, ბათუმის „დათვები“ თუ „ლელო“?

— წლევანდელი სეზონის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ „ლელოსთან“ თამაში უფრო გაგვიჭირდა, მაგრამ არც „დათვებია“ ხელწამოსაკრავი მეტოქე. მისი გამოცდილი მორაგბეები ბევრ თავსატეხს გაგვიჩენენ.

— ხომ არ იცით, ფინალი სად გაიმართება?

— ჯერ არ არის გადაწყვეტილი, თუმც რაგბის კავშირის სურვილია თამაში ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე ჩატარდეს.

— „ყოჩები“ — „აკადემიის“ თამაშზე რას გვეტყოდით, რატომ გაიყვანეთ მეორე შემადგენლობა?

— ჩვენთვის ამ მატჩის შედეგს არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა და ამასთან, სულ რამდენიმე დღეში ნახევარფინალი გველოდა. ტრავმები ავიცილეთ თავიდან, თან ახალგაზრდა მოთამაშეებს მივეცით თავის გამოჩენის საშუალება. ვინც ამ მატჩს დაესწრო, დამეთანხმება, რომ ბიჭებმა ძალები არ დაიშურეს და ყველაფერი გააკეთეს მატჩის მოსაგებად.

— ესე იგი უარყოფთ ხმებს თამაშის ჩაწყობაზე?

— კი არ უარვყოფ, რაგბიში ასეთი რამის გაფიქრებაც კი უხერხულია. სხვათა შორის, ბიჭებმა პრემიებიც კი დაკარგეს.

— ფინალი გადაივლის და შემდეგ რა გეგმები გაქვთ, ვინმეს დამატებას ხომ არ გეგმავთ?

— ერთი წელია, ამ შემადგენლობით ვთამაშობთ. როგორც იქნა გუნდი ჩამოყალიბდა, სამუშაო ბევრი გვაქვს, ამისთვის ჩვენი ხელმძღვანელობა, კერძოდ, „აკადემიის“ წარმომადგენლები ყველა პირობას გვიქმნიან, რათა ის სამუშაო, რაც გუნდმა უნდა შეასრულოს, ბოლომდე ამოვწუროთ. რაც შეეხება ტრანსფერებს, ამას მომავალი წლიდან განვიხილავთ, ეგებ ჩვენი გუნდიდანაც წავიდნენ მოთამაშეები, მაგრამ არანაირ ძალას არ ვიშურებთ, რომ ქართველი მორაგბეები საქართველოს ჩემპიონატში დავაბრუნოთ.

— ვინმე ხომ არ გაგიმგზავრებიათ უცხოეთში სათამაშოდ?

— სეზონის დასაწყისში ჩვენგან დავით ზერაქაშვილი წავიდა საფრანგეთში, ხოლო ახლახან ლიტვაში გიორგი ქოპილაშვილი მივავლინეთ.

— ამ ტრანსფერებიდან რაიმე ხეირი თუ აქვს გუნდს?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე სატრანსფერო ფორმა ჩვენთანაც დაიმკვიდრებს ადგილს.

**ნინო ლეჟავა**

# ოცი, ოცი, ოცლამაზი

IRB-ს ახალ მსოფლიო რეიტინგსიაში საქართველოს ნაკრებს ზუსტად ის ადგილი უჭირავს, მსოფლიო თასის საგზურს რომ ჯავშნის. ეჰ, ნეტავ მართლა ასე იოლად გავდიოდეთ ბობოლათა სარბიელზე, თუმც კრასნოდარში რუსების რბევით რომ ორი საფეხურით ავინაცვლეთ, ესეც საქმეა. ევროპის საერთათასო ექვსეულიდან, ყველაზე მაღალი რეიტინგით, ცხადია, რუმინეთი (მე-13) იწონებს თავს. „ბორჯღალოსანთა“ კიდევ ერთი მოქიშპე პორტუგალია (მე-17) კი რეიტინგის ტოპ-ოცეულში ერთადერთია, 2003 წლის მსოფლიო თასზე რომ არ უთამაშია.

რიგი ტესტ-მატჩების ჩაგდებამ თასის ტრიუმფატორი ინგლისი მესამე საფეხურზე ჩამოაჩოჩა, „ვარდების“ ამასწინდელმა მძლეველმა ავსტრალიამ მეორე ადგილზე აინაცვლა, ლიდერი კი კვლავ „ოლ ბლექსია“...

ისიც დავამატოთ, რომ საქართველო IRB-ს რეიტინგში, მაქსიმუმ, მე-16 ადგილს შესწვდომია, თუმც ეს შორეულ 2001 წელს, რუმინეთის დამარცხების და ერთა თასის მოგების შემდეგ მოხდა.

**ილია ნანობაშვილი**

1 ახალი ზელანდია
2 ავსტრალია
3 ინგლისი
4 სამხრეთ აფრიკა
5 საფრანგეთი
6 ირლანდია
7 არგენტინა
8 უელსი
9 შოტლანდია
10 ფიჯი
11 იტალია
12 სამოა
13 რუმინეთი
14 კანადა
15 ურუგვაი
16 აშშ
17 პორტუგალია
18 იაპონია
19 ტონგა
20 საქართველო
25 რუსეთი
26 უკრაინა
27 ჩეხეთი



# მოვითმენ და მოვიგებ

## ჰერმან მაიერი ჯერ აკვირდება

**მეტწილად** ბებერი და ალაგ-ალაგ სხვა კონტინენტების თოვლიან ფერდობებზე გახურებულ სამსოფლიოთასო მთის თხილამურობას ჯერჯერობით ის არ ლიდერობს, ვინაც ჯერ არს. მსოფლიოს თასის სამჯერ მომპოვებელი — ეს კი ზამთრის სამი სეზონის საუკეთესო მეთხილამურეობას ნიშნავს და გადასარევი შედეგია — ჰერმან მაიერი ჯერ ჩვეულად მყარად ვერ დგას თხილამურებზე და სადღეისოდ საერთო ჩათვლასაც სხვა ლიდერობს. ეს ბედნიერი ამერიკელი ბოდე მილერი გახლავთ.

ეს ჯეელი იქნებ ამ ზამთარს ვერც შესწვდეს ბროლის გლობუსს, რაკი სეზონი ჯერ ხეირიანად არც გახურებულა და მაიერიც ალბათ თავისას იზამს, მაგრამ ამერიკელმა უკვე მოასწრო ამ რამდენიმე კვირის სრიალ-სრიალში ისტორიაში შესვლა. სამთო თხილამურობა — შეგახსენებთ — ოთხ სახეობას მოიცავს — სწრაფდაშვებას, სუპერგიგანტს, გიგანტურ სლალომს და უბრალო სლალომს. ყველა სახეობას თავისი ოსტატები ჰყავს, რაკი ოთხივე ცოტ-ცოტა განსხვავდება ერთმანეთისაგან და ერთში თუ ტექნიკაა მთავარი, სხვაგან (სწრაფდაშვება, სუპერგიგანტი) თავზეხელაღებულობა უფრო ფასდება.

ჰოდა, ამ ბოდე მილერმა არც აცია, არც აცხელა, აიღო და, ამ კვირებში ოთხივე სახეობა მოიგო, რითაც თხილამურობის ისტორიაში ავსტრიული წარმოშობის ლუქსემბურგელის ჯანი ანჯელის გვერდით ჩაეწერა. ანჯელიმ ეს გმირობა 1989 წელს ჩაიდინა და მას აქეთ დათოვლილი ფერდობები ამაოდ ელოდნენ მის დარ უნივერსალს.

მილერმა კვადრატი გუშინ, იტალიურ სესტრიერეში შეკრა, სადაც მანამდე მოგებულ სამი სახეობის ეტაპებს სლალომიც მიაყოლა — ორ ჩამოსრიალებას ჯამში წუთი და 39.03 წამი დაახარჯა და მთელი 1.27 წამით გაასწრო მომქოლთაგან უჩაუქესს, ახალგაზრდა შვეიცარიელ სილვან ცურბრიგენს. სესტრიერეში გამარჯვების შემდეგ ბოდე მილერს ჯამში 730 ქულა მოუგროვდა და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მოყურყუტე მაიერს მთელი 391 ქულით გაასწრო.

მაიერი კი საერთოდ არ გამოსულა სესტრიერეში. ფეთიანი ქროლვის გამო „ჰერმინატორად“ წოდებულ ავსტრიელს მაინცდამაინც გულზე არ ეხატება ზოზინა სლალომი და უფრო ჩქაროსნულ სახეობებში აყენებს თოვლის კორიანტელს. მაგრამ საერთო ჩათვლაში მეორეობა „ჰერმინატორს“ დიდად არც აღელვებს — იძახის ჩემთვის სეზონი ჯერ არც დაწყებულა, ახლა მხოლოდ და მხოლოდ ვხურდები და 21 დეკემბრის შემდეგ ყველაფერს თავის ადგილზე დავაყენებო (ალბათ უნდოდა, ეთქვა, ყველას თავის ადგილს მივუჩენო). მერე ისიც დასძინა მსოფლიოს თასი მსოფლიოს თასად, მაგრამ წლეულს ჩემი მთავარი სამიზნე თებერვალში გასამართი ბორმიოს მსოფლიოს ჩემპიონატიაო.

ჰერმან მაიერი თავისას, ალბათ, მაინც იზამს, ყოველ შემთხვევაში ერთ-ორ ეტაპს ხომ მოიგებს. დღემდე მას 49 ეტაპზე უმარჯვია და ყველაზე სახელოვან სამთო მოთხილამურეებს შორის ამ მხრივ მეორეადგილოსან იტალიელ ალბერტო ტომბას სულ ერთი გამარჯვებითღა ჩამორჩება.

**ბოტე ყორშია**

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1 ბოდე მილერი (აშშ) | 730 |
| 2 ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 339 |
| 3 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 316 |
| 4 მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) | 284 |
| 5 ლასე კიუსი (ნორვეგია) | 248 |



ჰერმან მაიერი ჭერჭერობით შორიდან უყურებს ბოდე მილერის სრიალს




## ფეხბურთი

### ინგლისი

პრემიერლიგა. XVII ტური

ფულემი 1:1 მანჩესტერი

### იტალია

სერია B. XVII ტური

კროტონე 2:2 ტრევიზო

სერია C1/B. XV ტური

რეჯანა 1:0 პადოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შამპანური ყინვაში

აი, მძიმე და მომქანცველი თხილამურობა მსოფლიოს თასისთვის ლავოდი ტეზეროში. რუსი ალიონა სიდკო 4X5 კილომეტრზე შეჯიბრისას აღმართსა ლაშქრავს და არცთუ ტყუილად. რუსმა გოგოებმა ოქროც მოიგეს ამ საქმეში, თვით ნორვეგიელებს აჯობეს. ჩრდილო იტალიის თოვლებში კი შამპანურით სველდება იტალიელ კაცთა ოთხეული ფლავის ვალბუსას (მარცხნივ) თამადობით, მათ 4X10 კმ-ზე ვერცხლი მოუგიათ. აქ ნორვეგიელებმა წინ არავის გაუშვეს.



# მარიუს კლაუდიუსი

ბრაზილიელმა როდრიგო პესომ მოიგო საცხენოსნო მსოფლიოს თასი ჟენევაში, ოღონდაც ეს როდრიგო პესო არ არის, არამედ ინგლისელი რობერტ სმიტი და მისი „მარკუს კლაუდიუსი“, რომლებიც მესამე ადგილს დასჯერდნენ.



# ტანვარჯიშის ფრენები

ბირმინგემის ჩამთბარ დარბაზში ტანვარჯიშის მსოფლიოს თასია გახურებული. ბრიტი ელიზაბეთ თვიდლი თითქოს მიფრინავსო, ხოლო რუმინელი კატალინა პონორი თითქოს რეზინისაა. სხვათა შორის, პონორმა ძელზე მალაყობაში ყველას აჯობა.





# სტად დე ფრანსზე

ასეა საშობაოდ პარიზის სტადიონ „სტად დე ფრანსზე“, სენ დენიში, იქ, სადაც ეროვნული ნაკრები ფეხბურთს თამაშობს, ახლა თოვლი გაფენილა და ნორჩები ერთობიან. ეს ახალი ტრადიციაა — მხოლოდ მეორე წელიწადია, რაც ფეხბურთის მინდორს თხილამურები გაჩვევია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge